საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 10 იანვარი. 2019 წ. №5 (8671) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

H1N1-ის ვირუსი ლუგარის ლაბორატორიის გახსნამდე 2 წლით ადრე გაჩნდა 5

წერილი-გაფრთხილება

არ არსებობს „პარტიული ჭეშმარიტება“ 2

გენერალური პროკურატურა:

„თიბისი ბანკის“ აქტივობებში იკვეთებოდა ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ნიშნები 3

რქაწითელი შესაძლოა, საუკეთესო ღვინო გახდეს მარსზე! 12

გია ვოლსკი: არასამთავრობოები ყველგან ეკვეხებიან!

არასამთავრობოების განცხადებაზე, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების სია ბიძინა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული, ვოლსკი გააბრაზა და თქვა, რომ NGO-ები გამოთქვამენ ისეთ აზრებს, რაც საზოგადოებისთვის დამატებითი თავსატეხისა და პრობლემის შემქმნელია.

„ნაცვლად იმისა, რომ პროფესიონალური რჩევები მოგვცენ, შემოდიან პოლიტიკური შეფასებების ისეთ პლატფორმაზე, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა იმყოფებოდნენ. რა იციან, ვისთან არის სია შეთანხმებული ან რატომ გამოთქვამენ ისეთ აზრებს, რაც საზოგადოებისთვის არის დამატებითი „თავისუფლებისა“ და პრობლემის შემქმნელი. პრობლემა არ აკლია ქვეყანას“.

* * *

გია ვოლსკის განმარტებით, დღეს სასამართლო სისტემა მსოფლიოს პირველ ოცეულშია და არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც უკმაყოფილო არიან.

„სიის პიროვნულ შემადგენლობასთან დაკავშირებით არ მაქვს ჩემი აზრი ჯერ ჩამოყალიბებული. გარკვეული ინდიკატორები არსებობს ყველა საკითხთან დაკავშირებით. სიის შემადგენლობაზე არ მაქვს საუბარი, რატომ არის ასეთი გააფთრებული შეტევა იგივე „ნაციონალური მოძრაობისგან“ სტრუქტურაზე, რომელიც გუშინ მთლიანად ხელში ჰქონდათ აღებული. მათი მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ყოველგვარი უფლებების გარეშე მუშაობდა და დღეს ვითარება შეცვლილია. რატომ არის, რომ დღეს ჩვენი სასამართლო სისტემა მსოფლიოს პირველ ოცეულშია და არასამთავრობო ორგანიზაციები მაინც უკმაყოფილო არიან“, — განაცხადა ვოლსკიმ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ უკვირს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური ძალების, რომლებიც ცდილობენ, ქვეყანაში სტრესული სიტუაციის შექმნით პოლიტიკური დივიდენდი მიიღონ.

ეპიდემია არ გვაქვს!

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო საქართველოში გრიპის ვირუსთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს. დავით სერგეენკოს განცხადებით, პიკური მდგომარეობა 277 დაფიქსირებული შემთხვევა იყო, ამ ეტაპზე კი კლების ტენდენცია შეიმჩნევა, მინისტრი აცხადებს, რომ ბოლო დღეების განმავლობაში მიმართვიანობამ იკლო.

„ყველაზე პიკური გვქონდა 277 და ახლა არის 256, რაც ნიშნავს, რომ ეპიდემია არ გვაქვს. ეპიდემიის ცოდნა საჭირო არის ჯანდაცვის სისტემისთვის, რომ შესაბამისი პროტოკოლი აამოქმედოს. ტამიფლუს მარაგებს და მის რაოდენობას ასევე საერთაშორისო პროტოკოლი განსაზღვრავს, თუ რა ავადობაზე რა რაოდენობა უნდა გვქონდეს, ჩვენ ეს მარაგები გვაქვს და იმ დღეებში, როდესაც სააფთიაქო დეფიციტი შეიქმნა, ჩვენ გავუნაწილეთ კიდეც მათ,“ — აცხადებს დავით სერგეენკო.

არდადეგები 18 იანვრამდე გახანგრძლივდა

სკოლის მოსწავლეების, პედაგოგების ჯანმრთელობისა და მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების სამინისტრომ ჯანდაცვის სამინისტროსთან კონსულტაციებით მიიღო გადაწყვეტილება სკოლებში სწავლის გადადების თაობაზე.

უწყების ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ გრიპის ვირუსით ავადობის მაჩვენებელი არ მიანიშნებს ეპიდემიაზე, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2018-2019 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგები გახანგრძლივდეს 18 იანვრის ჩათვლით.

„ამ პერიოდის განმავლობაში კვლავ დავაკვირდებით არსებულ მდგომარეობას და ჯანდაცვის უწყების რეკომენდაციის გათვალისწინებით, შევატყობინებთ საზოგადოებას მომავალ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასწავლო დაწესებულებებს ეძლევათ რეკომენდაცია, არდადეგების პერიოდი დამატებით გამოიყენონ სკოლის შენობებში სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებლად. სასწავლო პროცესის აღდგენის შემდგომ სისტემატურად დალაგდეს სველი წესით საკლასო ოთახები და დერეფნები, შესაბამისი ხსნარებით გაიწმინდოს მერხები და სკამები, სასკოლო ინვენტარი.

ასევე, უზრუნველყონ სკოლის ექიმების სრულფასოვანი ჩართულობა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას. დაიცვან ყველა რეკომენდაცია, რაც დაავადების თავიდან ასაცილებლად ღონისძიებებს უკავშირდება, რომელსაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გასცემს“...

100 წლის გაზეთს კვლავ თქვენი დახმარების იმედი აქვს!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

სალომე ზურაბიშვილმა „ბანკ ქართუს“ ვალი დაუბრუნა

საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონი ლარი დაერიცხა. მეხუთე პრეზიდენტმა ბანკ „ქართუდან“ აღებული მილიონი ლარის ოდენობის სესხი დაფარა. აღნიშნული სესხი ზურაბიშვილმა წინასაარჩევნო პერიოდში, 2018 წლის ოქტომბერში აიღო.

მილიონი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაერიცხათ „ევროპულ საქართველოს“ და გაერთიანებულ ოპოზიციას.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს მიიღებს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად არაუმეტეს 1 000 000 ლარის მიღების უფლება აქვს — არჩევნების საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარად.

საქართველოს დემოკრატიის ინდექსის ვარდნა ყველაზე მკვეთრი იყო რეგიონში!

Democracy Index 2018 (დემოკრატიის ინდექსი) ინდექსში, რომელსაც ჟურნალი „ეკონომისტი“ აქვეყნებს, საქართველოს რეიტინგი წინა წლის მონაცემებთან შედარებით გაუარესდა.

აღნიშნული ინდექსის ფარგლებში 2017 წელს საქართველოს 5.93 ქულა ჰქონდა, 2018 წლის ინდექსში ეს მაჩვენებელი 5.50 ქულას შეადგენს.

„საქართველოს დემოკრატიის ინდექსის ვარდნა ყველაზე მკვეთრი იყო რეგიონში. საქართველოს მილიარდერი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მაისში პოლიტიკაში დაბრუნდა, განაახლა მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეობა და მიუხედავად იმისა, რომ არჩეული თანამდებობა არ უკავია, მთავრობის პოლიტიკა შეცვალა. პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ივნისში გადადგა და მისი გადაწყვეტილების მთავარ ინდიკატორად ივანიშვილთან უთანხმოებები დასახელდა. ბიძინა ივანიშვილის გავლენით, მთავრობა ასევე ჩაერია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, 600 000 მოქალაქისთვის ვალების ჩამოწერის ინიციატივით. ამან მთავრობას მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭა საარჩევნო კამპანიაში ოპოზიციასთან შედარებით“, — ნათქვამია კვლევაში „დემოკრატიის ინდექსის“ შესახებ.



2018 წლის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით, საქართველო, დასავლეთ ბალკანეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, სომხეთთან და ყირგიზეთთან ერთად, ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიაში რჩება.

სემინარი კაჭრეთში

კაჭრეთში სემინარზე **მენეჯმენტისა და კოორდინაციის გაუმჯობესების თემებს გავდივართ,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ კაჭრეთში განუცხადა.

„მნიშვნელოვანია სემინარი, რომელიც აქ იმართება და რომელშიც ჩართული არიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ჩართული არიან უცხოელი კონსულტანტები. ჩვენ გავდივართ მენეჯმენტის თემებს, კოორდინაციის გაუმჯობესებას. ვფიქრობ, ახალი რეალობის პირობებში ეს არის კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ჩვენ მენეჯმენტი გავაუმჯობესოთ“, — განაცხადა მდინარაძემ.

ავიღეთ მინიმუმ 1 თვე იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, მოსამართლეობის კანდიდატებზე, გასაწერია თუ არა კრიტერიუმები

პარლამენტმა ავიღეთ გარკვეული დრო, მინიმუმ 1 თვე იმისათვის, რომ საგაზაფხულო სესიამდე ვიმსჯელოთ იმაზე, გასაწერია თუ არა კრიტერიუმები, რომელიც უზენაეს სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურების წარმოდგენას ეხება პარლამენტის წინაშე, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ ჟურნალისტებს კაჭრეთში განუცხადა. მისი განმარტებით, ამ კრიტერიუმების გაწერის შემდეგ ან მის გარეშე პარლამენტი იმსჯელებს იმაზე, რამდენად მისაღებია კონკრეტული პერსონა.

ისინი არიან კლანის წევრები და აქვთ კერძო ინტერესები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო პოზიციის შეცვლას არ აპირებს და არც სასამართლო სისტემაში არსებული კლანის ინტერესების დაცვაზე არ ამბობს უარს. როგორც ჯანეზაშვილი ვარაუდობს საბჭო არც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიის განახლებაზე ფიქრობს:



„მოსამართლე წევრებთან მსჯელობა არ ყოფილა, დაველოდოთ სხდომას, რომელიც იქნება უახლოეს დღეებში და ვნახოთ იუსტიციის საბჭოს უმაღლესი წევრები თუ განიხილავენ ამ საკითხს. მაგრამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან კონსულტაციები არის შეუძლებელი, რადგან ისინი არიან კლანის წევრები და აქვთ კერძო ინტერესები, ამიტომ ეს კონსულტაციები იმთავითვე არის წარუმატებელი.“ — განაცხადა ნაზი ჯანეზაშვილმა.

© წერილი-გაფრთხილება

არ არსებობს „პარტიული ჭეშმარიტება“

თავის ნაშრომში „მე-20 საუკუნის გერმანულ ფილოსოფიაზე“ გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს-გეორგ გადამერი იმ ფაქტს აღნიშნავს, როდესაც ჰაიდეგერმა აღიარა „ჩვენი აზროვნების ისტორიულობა“. „ეს ცნობილი იყო, როგორც ისტორიზმის პრობლემა, — განაგრძობს გადამერი, — რომელიც მომდინარეობდა დილთაიდან ტროელტჩის ჩათვლით და რასაც გერმანული ფილოსოფიური საზოგადოება სულგანაბული ადევნებდა თვალყურს. საკითხი იმაში მდგომარეობდა, თუ როგორ შეიძლება მარადიული და აბსოლუტური ჭეშმარიტების შემეცნებაზე პრეტენზიის განცხადება მაშინ, როდესაც შემმეცნებელი ყოველთვის თავისი ეპოქის შვილია, ყოველთვის თავისი დროის ცრურწმენებშია გახლართული და ამიტომ — განსხვავებით საბუნებისმეტყველო მეცნიერების ობიექტივირებული მეთოდებისგან — ნამდვილი მეცნიერულობის მიღმა უნდა დარჩეს. ამას ეწოდება ისტორიული რელატივიზმი. ყველა ეპოქას, ასე ვთქვათ, თავისი საკუთარი დამოკიდებულება აქვს ჭეშმარიტებასთან. შეუძლებელია, არსებობდეს აბსოლუტური დამოკიდებულება აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან. ეს გახლდათ ისტორიზმის პროტესტი ტრადიციული და აგრეთვე ნეოკანტიანური ფილოსოფიის წინააღმდეგ“.



სულ სხვა გახლავთ თეოლოგიური და, კერძოდ, ქრისტიანული რწმენის შეხედულება ამ საკითხზე. ერთადერთი ჭეშმარიტება ქრისტიანისთვის თავად იესო ქრისტეა. „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6).

მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, არსებობს თურმე „პარტიული ჭეშმარიტებაც“. ეს აზრი დამეუფლა, როდესაც ტელევიზიით ვნახე 21 დეკემბერს ჩვენს პარლამენტში გამართული დებატები პოლიტიკურ საკითხებზე. ავადსახსენებელი ე. წ. „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც წარსულის (და ამჟამინდელიც!) დანაშაულები, რასაც ის დაჟინებით „შეცდომებს“ უწოდებს, არ დაგმო და არც მოინანია, კვლავ უტიფრად ბობოქრობდა და თავის „ჭეშმარიტებას“ ამტკიცებდა.

ამის შემხედვარეს, ჩემს ცნობიერებაში ძალაუნებურად ამოტივტივდა ერთი შედარება სხვა „პარტიულ ჭეშმარიტებასთან“. ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისთვის პარტიულობა გახლავთ როგორც წინაპირობა „სწორი შემეცნებისთვის“, განსაკუთრებით, ისტორიულ-სოციალურ სფეროში, ისევე, როგორც მოვალეობა რევოლუციური პარტიის წევრისთვის. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ პარტიას უნდა ემსჯელა, ცალკეულ შემთხვევაში „პარტიული“ იყო თუ არა გამონათქვამები და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა მისი „მეცნიერებულობის“ აღიარება. ასეთმა პრაქტიკამ საბჭოთა კავშირში იმდროინდელ მეცნიერებას დიდი ზიანი მოუტანა. საკითხავია, რაოდენი ზიანის მომტანია სახელმწიფოსთვის ისეთი უცხო სხეულის არსებობა, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“? ვფიქრობ, ეს რიტორიკული შეკითხვა გახლავთ.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ ამ თემაზე საკმაო რაოდენობის წერილი გამოვაქვეყნე. მაგრამ, საკითხავიც სწორედ ეს არის — კითხულობენ მათ სწორედ ისინი, ვისკენაც ეს წერილები არის მიმართული? პირველ ყოვლის — ჩვენი ხელისუფლება, შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ — არა და არა! წინააღმდეგ შემთხვევაში გავიგებდით, რომ იმ სახელმწიფოს, საიდანაც სააკაშვილი ჩვენს მოსახლეობას „რევოლუციისკენ“ მოუწოდებს — მკაცრად მოჰკითხა პასუხი. ჩვენი პარლამენტის დიდი უმრავლესობა საერთოდ არ კითხულობს გაზეთს, რაც თავად სააკაშვილმა დანერგა ასეთი პრაქტიკა და რასაც სამართლიანად ამხელდა ამავე გაზეთის რედაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიგებდნენ, რომ „ნაცებთან“ პარლამენტში კამათი ეს იგივე მათთან თანამშრომლობას ნიშნავს.

ვერც იმაზე დავდებ თავს, რომ „პატრიოტთა ალიანსიც“ კითხულობს გაზეთს, სადაც გამოქვეყნდა ჩემი წერილი, რომელიც მის ერთ-ერთ ლიდერს მივუძღვენი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არანაირი შეხება (არათუ სიმპათია!) არ ექნებოდათ ავტორიტარიზმის ძველი რეჟიმის წარმომადგენლებთან. „და თუ სატანა აძევებს სატანას, მაშინ ის თავის თავს განეყოფა; როგორღა გაძლებს მისი სამეფო?“ (მათე, თ. 12, 26).

ეს მცირე წერილი გაფრთხილებად მიიღონ ზემოხსენებულებმა, რასაკვირკველია, თუკი მას წაიკითხავენ.

ვიქტორ რცხილაძე

„თიბისი ბანკი“ საგანგებო განცხადებას ავრცელებს

„8 იანვარს, გვიან საღამოს, რამდენიმე მედია პორტალმა გაავრცელა მცდარი და მიზანმიმართულად დამახინჯებული ინფორმაცია, რომელიც ემსახურება ქვეყნის წამყვანი ფინანსური ინსტიტუტისა და მისი დამფუძნებლების რეპუტაციის შელახვას.

ცხადია, რომ ამ ინფორმაციის გამავრცელებლების მიზანია, ზიანი მიაყენოს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს — „თიბისი ბანკს“ — ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ, რომ კატეგორიულად უარვყოფთ ამ ორკესტრირებული შავი პიარის ავტორების მიერ შეთითხნილ ბრალდებებსა და შეგნებულად დამახინჯებულ ფაქტებს.

„თიბისი ბანკი“ არის და დარჩება ქვეყანაში და რეგიონში ლიდერ ფინანსურ ინსტიტუტად, რომელიც წარმოდგენს კორპორაციული მართვისა და პასუხისმგებლობის საუკეთესო მაგალითს, რაც აღიარებულია საერთაშორისო ინსტიტუციების და ინვესტორების მიერ.

„თიბისი ბანკი“ არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებული მოწინავე საჯარო კომპანია, რომელიც წარმოდგენილია პრემიუმ სეგმენტში (FTSE250 სიაში) და წარმოადგენს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის ინვესტორთა და აქციონერთა ინტერესებს საქართველოში.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ „თიბისი ბანკი“ არსებობის 27 წლის განმავლობაში, ყველა პოლიტიკური მმართველობის პერიოდში, არაერთხელ ყოფილა თავდასხმის ობიექტი. „თიბისი ბანკს“ და მის მენეჯმენტს გამოუვლია არაერთი კრიზისი და ყველა ხელისუფლების პირობებში ყოველთვის დაუმტკიცებია და მომავალშიც დაამტკიცებს თავის სიმართლეს.

რაც შეეხება პროკურატურის მიერ გაკეთებულ კომენტარს დოკუმენტების ამოღებასთან დაკავშირებით, საკითხი ეხება 2008 წლის რიგით, კანონიერ საბანკო ოპერაციას, რომელიც:

- **არაერთხელ იქნა სახელმწიფო სტრუქტურების და ეროვნული ბანკის მიერ შესაბამის პერიოდებში შემოწმებული როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლების დროს;**
- **არაერთხელ იქნა საერთაშორისო აუდიტორების მიერ შემოწმებული და მათი სისწორე დადასტურებული;**
- **რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 2014 და 2016 წლებში, ლონდონის საფონდო ბირჟაზე „თიბისი ბანკის“ აქციების განთავსებასთან დაკავშირებით, დეტალურად იქნა შემოწმებული და დადებითად შეფასებული, მათ შორის ინგლისის რეგულატორის მიერ;**
- **ამასთან, მოცემული ტრანზაქცია ხანდაზმულია.**

„თიბისი ბანკი“ ვერ შეეგუება მიზანმიმართული დისკრედიტაციისა და რეპუტაციის შელახვის მცდელობას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ის, და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო სამართლებრივ ბერკეტს „თიბისი ბანკის“, მისი დამფუძნებლებისა და საერთაშორისო აქციონერების კანონიერი ინტერესების დასაცავად“ — ნათქვამია განცხადებაში.

„თიბისი ბანკის“ აქტივობებში იკვეთებოდა ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ნიშნები

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2018 წლის მაისში დაიწყო „თიბისი ბანკის“, მისი კლიენტი იურიდიული პირების, ბანკის ადმინისტრატორებისა და ცალკეული აქციონერების ფინანსური აქტივობების შესწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ აქტივობებში აშკარად იკვეთებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნიშნები.

„ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2018 წლის მაისში დაიწყო „თიბისი ბანკის“, მისი კლიენტი იურიდიული პირების, ბანკის ადმინისტრატორებისა და ცალკეული აქციონერების ფინანსური აქტივობების შესწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ აქტივობებში აშკარად იკვეთებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნიშნები. აღნიშნული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს და საქართველოს პროკურატურას. ეროვნულმა ბანკმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა საკითხი და აღმოჩენილ დარღვევებზე მოახდინა შესაბამისი რეაგირება.

ხოლო საქართველოს პროკურატურამ 2018 წლის 2 აგვისტოს, დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2008 წლის აპრილში და მაისში, შპს „სამგორი თრეიდმა“ და შპს „სამგორი M“-მა, „თიბისი ბანკი“-სგან, სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, დაჩქარებული წესით მიიღეს საერთო ჯამში 17 მილიონ აშშ დოლარამდე სესხი. კომპანიების ანგარიშებზე სესხის თანხის განთავსებისთანავე, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, ამავე კომპანიებიდან, როგორც ფიზიკურმა პირებმა, ისესხეს ზუსტად იმ ოდენობის თანხა, რაც „თიბისი ბანკმა“ საბრუნავი საშუალებების შევსების მიზნობრიობით ასესხა დასახელებულ კომპანიებს. 2008 წლის ბოლოს, „თიბისი ბანკმა“, აღნიშნული სესხები, საბანკო რეგულაციებით დადგენილ ვადაზე ადრე, დაუსაბუთებლად ჩამოწერა და გარე საბალანსო ანგარიშზე გადაიტანა, ხოლო 2012 წელს საერთოდ გაათავისუფლა ეს კომპანიები ბანკის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებისგან, როდესაც დათანხმდა ამ ვალდებულებების ოფშორულ კომპანიაზე გადატანას. საგულისხმოა, რომ „სამგორი თრეიდს“ და შპს „სამგორი M“-ს სესხები ისე ჩამოიწერა, რომ ამ კომპანიებს სესხის მომსახურებისთვის თანხა საერთოდ არ გაუღიათ და აღნიშნული სესხები ბანკს დღემდე არ დაბრუნებია. გარდა ამისა, დადგენილია, რომ მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ასევე არ გაუსტუმრებიათ შპს „სამგორი თრეიდისა“ და შპს „სამგორი M“-ს, ვალი.

გამოძიების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გამოიკითხნენ ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები, მათ შორის გამოკითხულია მამუკა ხაზარაძეც. გამოძიების ამ ეტაპზე, შესაძლო დანაშაულებრივი ფაქტების სრულყოფილად შესწავლისთვის, აუცილებელია დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის მოპოვება და შესწავლა, რისთვისაც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2019 წლის 4 იანვარს შუამდგომლობებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სს „თიბისი ბანკი“-დან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები შესასრულებლად ჩაბარდა სს „თიბისი ბანკს“. საქმეზე საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გენერალური პროკურატურა საზოგადოებას პერიოდულად მიაწვდის ინფორმაციას გამოძიების შესახებ“, — ნათქვამია განცხადებაში.

მიმდინარე საგამოძიებო პროცესი „თიბისი ბანკის“ ფუნქციონირებაზე გავლენას არ მოახდენს

როგორც სებ-ში განმარტავენ, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, სებ-ი მუდმივ ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, მათ შორის „თიბისი ბანკს“. კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული ბანკის საზედამხედველო ღონისძიებები, როგორც ამ კონკრეტულ, ასევე სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, არ არის საჯარო და, შესაბამისად, უფლებამოსილი არ ვართ დეტალებზე ვისაუბროთ.

„ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თიბისი ბანკი“ ფინანსურად ძლიერი და მდგრადი საკრედიტო ინსტიტუტია და სრულად აკმაყოფილებს ყველა ეკონომიკურ ნორმატივსა და ლიმიტს. მიმდინარე საგამოძიებო პროცესი, ასევე, ბანკთან დაკავშირებული პირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, გავლენას არ მოახდენს თავად ბანკის ფუნქციონირებაზე“, — აცხადებენ სებ-ში.

ნინო ბურჯანაძე: დარწმუნებული ვარ, საპატრიარქო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას არ აღიარებს!

დარწმუნებული ვარ, საპატრიარქო ისევ სიფრთხილით იმოქმედებს და არ მოხდება უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რომელიც როგორც ძალიან ბევრი რელიგიის მცოდნე და თეოლოგი ამბობს, არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ეს შეიძლება ზოგჯერ პროპაგანდის მანქანიდან ჩანდეს, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი თემა არა მარტო ეკლესიისთვის, არამედ საქართველოს მომავლისთვის. მე სრულიადაც არ მიკვირს ის ძალიან ფრთხილი მიდგომა, რომელსაც ახლა საქართველოს საპატრიარქო იყენებს. ის მაქსიმალური ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს, რასაც ვერ ვიტყვი ქართველ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებზე. მინდა, მათ პირდაპირ ვკითხო: ბატონებო, ჩვენთვის რა არის უმნიშვნელოვანესი და უზენაესი — საქართველოს ინტერესები თუ ზოგადად ნათქვამი სიტყვები სამართლიანობასთან დაკავშირებით? ჩვენი სამშობლოს ერთიანობა თუ უკრაინელი ხალხის ინტერესი? პატივს ვცემ ყველა ხალხს, მათ შორის უკრაინას და უკრაინელებს, მაგრამ ჩემი ქვეყნის ინტერესი ჩემთვის უზენაესია. იმ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს მივმართავ, რომლებიც საქართველოს საპატრიარქოს მოუწოდებენ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისკენ — ერთი წამითაც არ ვუშვებ, რომ თქვენ არ გიყვართ თქვენი ქვეყანა და არ გინდათ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება და ქვეყნის გამთლიანება. ნამდვილად არ მოგაყენებთ ასეთ შეურაცხყოფას, მაგრამ ვიტყვი, რომ ახსნა იმისა, რასაც თქვენ აკეთებთ, ის არის, რომ უბრალოდ, არ იცით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს სიტყვებს და არ გესმით, რომ ეკლესიის გადაწყვეტილება საქართველოსთვის დამღუპველი იქნება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზუსტად ვიცი, თუ საქართველოს ეკლესია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას ცნობს, რუსეთის საპატრიარქო ავტომატურად გაკეთებს იმას, რაც აქამდე არ გაუკეთებია — აღიარებს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას. ეს იქნება ძალიან დიდი ნაბიჯი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობისკენ და დამღუპველი საქართველოს ერთიანობის პერსპექტივისთვის. ასე რომ, გონს მოდით, პატივცემულო პოლიტიკოსებო და პროდასავლურობისა და უზენაესი სამართლიანობის ფარდას ამოფარებულები, ნუ მოითხოვთ ისეთ რამეს, რაც შეიძლება, ჩვენი ქვეყნისთვის დამაქცეველი აღმოჩნდეს. დარწმუნებული ვარ, საპატრიარქო ისევ სიფრთხილით იმოქმედებს და არ მოხდება უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, რომელიც როგორც ძალიან ბევრი რელიგიის მცოდნე და თეოლოგი ამბობს, არც ისე ერთმნიშვნელოვანია, როგორც ეს შეიძლება ზოგჯერ პროპაგანდის მანქანიდან ჩანდეს. იმოქმედეთ საკუთარი ინტერესებიდან და არა ამერიკისა ან ზოგადად, დასავლეთის ინტერესებიდან გამომდინარე. რაც შეეხება უკრაინასთან მეგობრულ ურთიერთობებს, ხშირად არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ მათი ინტერესები განსხვავდება მიუხედავად მათ შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თითოეული საკუთარ პოზიციას იკავებს. ეს ნორმალურია, რადგან ყველა ქვეყანა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

რამდენი სახელმწიფო საწარმო გვაქვს და რომელ სექტორებში ფუნქციონირებენ ისინი?

2018-2021 წლების ფისკალური ანალიზის დოკუმენტში, რომელიც საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონს ერთვის თან, ცალკე ქვეთავი ეთმობა სახელმწიფო საწარმოების ანალიზს.

ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „საქართველო სახელმწიფო საწარმოების ზედამხედველობისა და მენეჯმენტის გაძლიერების პროცესშია, რომელშიც მნიშვნელოვანი აქცენტი აღნიშნული საწარმოებიდან მომავალი ფისკალური რისკების შეფასებასა და რისკების მართვაზე კეთდება“.

სამინისტროს ინფორმაციითვე, სახელმწიფო საწარმოების ერთიანი რეესტრი მომზადდა სახელმწიფო სტრუქტურების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა ადმინისტრაციული წყაროების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და რეესტრი მოიცავს ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი მთავრობების წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს, რომლებიც კლასიფიცირდებიან, როგორც ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი საწარმოები.

„ფისკალური რისკისთვის მნიშვნელოვან საწარმოთა რიცხვმა შეადგინა 286, რომელიც მოიცავს რიგი საწარმოების 50 შვილობილ კომპანიას. ამდენად, ფინანსური მონაცემების კონსოლიდების შედეგად ანალიზი ეყრდნობა 236 სახელმწიფო საწარმოს მონაცემებს, ხოლო 50 შვილობილი კომპანიის მონაცემები დამატებითი ინფორმაციის სახით არის წარმოდგენილი.

წარმოდგენილი 236 სახელმწიფო საწარმოდან 159 ცენტრალური ხელისუფლების, ხოლო 77 ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაშია. 159 ცენტრალური ხელისუფლების მფლობელობაში არსებული საწარმოდან 100-ში სახელმწიფო წილის 100 პროცენტს, 29-ში 50 პროცენტიდან 100 პროცენტამდე, ხოლო 30 საწარმოში 50 პროცენტზე ნაკლების მესაკუთრეა“, — აღნიშნულია ფისკალური ანალიზის დოკუმენტში.

ამასთან, აღნიშნულ 159 საწარმოზე ზედამხედველობა შემდეგნაირად ნაწილდება:

111 საწარმო — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მართვაში;

26 საწარმო — შექმნილი საპარტნიორო ფონდის წილობრივი მონაწილეობით;

3 საწარმო — საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში;

5 საწარმო — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვაში;

7 საწარმო — საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მართვაში;

2 საწარმო — განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მართვაში;

1 საწარმო — ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მართავში;

1 საწარმო — იუსტიციის სამინისტროს მართვაში;

3 საწარმო — იურიდიული პირების მართვაში.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტების მფლობელობაში არსებულ სახელმწიფო საწარმოებს, 32 კომპანია არის თბილისისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში და მათი წილი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებული საწარმოების მთლიანი ბრუნვის 94 პროცენტზე მეტს შეადგენს.

სტატისტიკის ეროვნული სტატისტიკის ბიზნეს რეგისტრის ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო საწარმოები 12 სხვადასხვა სექტორში ფუნქციონირებენ. მათგან ნახევარზე მეტი ჯანდაცვის და სოციალური დახმარების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის და უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის სფეროებში ოპერირებს.

საწარმოთა ბრუნვის 31,4 პროცენტი — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე, 40,6 პროცენტი — ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილების, ხოლო 18 პროცენტი ვაჭრობის ოპერაციებზე მოდის.

BMGE

დაგროვებითი პენსია: შესაძლოა, რეფორმა შეჩერდეს

თუკი საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, შესაძლოა, გაუქმდეს „უმთავრესი მექანიზმი — სავალდებულო გადახდა. მოსარჩელეთა შეფასებით, სისტემაში იძულებითი ჩართვის პრინციპი არღვევს როგორც დამსაქმებლის, ასევე დასაქმებულის კონსტიტუციურ უფლებებს, ტვირთად აწვება მათ და საბოლოოდ, საპენსიო თანხების უსამართლო გადანაწილებას იწვევს. შეხვდებათ თუ არა მდიდრებს მეტი და ღარიბებს — ნაკლები?

სახელმწიფო ხელყოფს საკუთრების უფლებას

მოსარჩელეები **არიან იურისტი ედუარდ მარიკაშვილი და მისი დამსაქმებელი არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ (GDI). პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 8 იანვარს გაიგზავნა.**

როგორც ედუარდ მარიკაშვილმა უთხრა რადიო თავისუფლებას, საპენსიო შენატანის ვალდებულება არღვევს **საქართველოს კონსტიტუციის** მე-19 მუხლის („საკუთრების უფლება“) პირველ, მეორე და მესამე პუნქტებს. ირღვევა როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლის საკუთრების უფლება.

- **„სახელმწიფო ჩვენს მაგივრად არ უნდა წყვეტდეს, როგორ უფრო უკეთესი იქნება ჩვენი ქონების განკარგვა“;**
- **„საკუთრების ხელყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს აქვს მნიშვნელოვანი, ლეგიტიმური, საჯარო მიზნები. ამ შემთხვევაში ასე არ არის“;**
- **„მოქალაქის სამომავლო კეთილდღეობის გამო მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა შეუსაბამოა კონსტიტუციასთან“.**

მოსარჩელეთა განმარტებით, სახელმწიფო სავალდებულო საპენსიო შენატანის დაწესებით ხელყოფს დამსაქმებლის საკუთრების უფლებასაც.

„სახელმწიფოს პოზიციით, საპენსიო შენატანი გადასახადად არ ითვლება. ჩვენ ვთვლით, რომ ეს გადასახადის ბუნების მატარებელია, რადგან გადახდა ხდება უპირობოდ და დამსაქმებელს ეს თანხა არ უბრუნდება. გამოდის, რომ ხდება დამსაქმებლისთვის საკუთრების ჩამორთმევა. ამიტომ ესეც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას“, — ეუბნება რადიო თავისუფლებას ედუარდ მარიკაშვილი.

მდიდარს - მეტი, ღარიბს - ნაკლები?

მოსარჩელეთა მტკიცებით, საპენსიო რეფორმა შეუსაბამოა საქართველოს კონსტიტუციის მე-11მუხლთანაც, რადგან „საპენსიო მოდელი არ ითვალისწინებს ადამიანების ქონებრივ მდგომარეობას პენსიაზე გასვლის ეტაპისთვის“.

საკონსტიტუციო სარჩელში აღნიშნულია, რომ საბიუჯეტო სახსრები დისკრიმინაციულად ნაწილდება:

- „სახელმწიფო საპენსიო სისტემაში მონაწილე სხვადასხვა ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირთა მიმართ საბიუჯეტო სახსრებს ანაწილებს დისკრიმინაციულად. პენსიაზე გასვლის მომენტისთვის ნაკლები ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირის მიმართ ახორციელებს ნაკლებ კონტრიბუციას, ხოლო შედარებით მაღალი ქონებრივი მდგომარეობის მქონე პირებს უხდის უფრო მეტს, ან იგივეობრივი რაოდენობის თანხას“;
- „ნორმის დისკრიმინაციულობას განაპირობებს სახელმწიფოს მიერ სადავო ნორმით გათვალისწინებული მეთოდოლოგია... აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით საპენსიო ფონდში სახელმწიფოს კონტრიბუცია დაკავშირებულია პირის წლიურ შემოსავალთან, ხოლო კონტრიბუციის ოდენობა იმატებს მონაწილის შემოსავალის მატებასთან ერთად“.

შენატანის სავალდებულო მექანიზმის კანონიერებას ეჭვქვეშ არ აყენებს საპენსიო სააგენტოს დირექტორი ლევან სურგულაძე. მისი თქმით, „ვალდებულები ვართ, ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჩვენს უკეთეს მომავალზე და სახელმწიფოც ვალდებულია, ისეთი რეგულაციები მიიღოს, რომელიც მის მოქალაქეებს მომავალში ცხოვრებას გაუუმჯობესებს“.

ვის შეეხება სავალდებულო გადახდა?

სავალდებულო საპენსიო შენატანზე უარს ვერ იტყვის ის, ვისაც 40 წელი 2018 წლის 6 აგვისტოს შემდეგ შეუსრულდა.

- **ამ კატეგორიას საპენსიო სააგენტოში გახსნილ ინდივიდუალურ ანგარიშზე დაუბეგრავი ხელფასის 2%-ის გადახდა მინიმუმ საპენსიო ასაკის შესრულებამდე მოუწევს;**
- **საპენსიო ასაკი საქართველოში 65 წელია კაცისთვის, ხოლო 60 წელია ქალისთვის.**

სავალდებულო საპენსიო შენატანი მხოლოდ 3-თვით შეეხება მათ, ვისაც 2018 წლის 6 აგვისტომდე შეუსრულდა 40 წელი.

- **ამ კატეგორიისთვის დაუბეგრავი ხელფასის 2%-ის გადახდა სავალდებულოა იანვარში, თებერვალსა და მარტში;**
- **ვისაც შეწყვეტა სურს, შესაბამისი განაცხადი აპრილში უნდა გააკეთოს.**

რას იხდის და რას როდის გიბრუნებთ სახელმწიფო?

დასაქმებულისა და დამსაქმებლის მიერ საპენსიო სააგენტოში შეტანილ 2-2%-ს სახელმწიფო დიფერენცირებული დანამატით უერთდება. სახელმწიფო ყოველთვიურად იხდის:

- **დასაქმებულის** **დასაბეგრი ხელფასის 2%-ს 24 ათას ლარამდე წლიური შემოსავლის შემთხვევაში;**
- **დასაქმებულის** **დასაბეგრი ხელფასის 1%-ს 60 ათას ლარამდე წლიური შემოსავლის შემთხვევაში;**
- **დასაქმებულის** **დასაბეგრი ხელფასის 0%-ს 60 ათასი ლარზე მეტი წლიური შემოსავლის შემთხვევაში .**

შემოსავლის საერთო მოცულობა ანგარიშდება ერთი წლის ფარგლებში და არა წლების განმავლობაში.

„ინდივიდუალურ ანგარიშზე დაგროვილი საპენსიო დანაზოგის გატანა იწყება საპენსიო ასაკის მიღწევისას, თქვენი განცხადების საფუძველზე. თუმცა თქვენ შეგიძლიათ უფრო მეტიც იმუშაოთ და დაგროვებაც გააგრძელოთ“, — უთხრა რადიო თავისუფლებას საპენსიო სააგენტოს დირექტორმა ლევან სურგულაძემ. მისი განმარტებით:

- იმ მომენტისთვის გამოითვლება, თუ რა არის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას გამოაკლდება დანაზოგის მქონე პირის ასაკი და მიღებულ რიცხვზე გაიყოფა დაგროვილი თანხის ოდენობა, ყოველწლიურად დასაბრუნებელი თანხის გამოსათვლელად;
- თანხას მიიღებთ ყოველთვიურად (ამისთვის წლიურად დასაბრუნებელი თანხა გაიყოფა 12-ზე);
- ამ ეტაპისთვის კაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 72 წელს, ხოლო ქალის 75 წელს შეადგენს.

სურგულაძის განმარტებით, საბაზისო პენსიას (ამჟამად — 200 ლარი) დაგროვებითი პენსიის მქონე პირებიც მიიღებენ.

თუმცა გაგრძელდება თუ არა ეს ყველაფერი ისე, როგორც სახელმწიფოს აქვს ჩაფიქრებული, დიდწილად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, სარჩელის განხილვის პერიოდში შეაჩეროს საპენსიო რეფორმა. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის წარმოებაში მიღებამდე 9-თვიანი ვადა აქვს.

ლელა კუნჭულია

H1N1-ის ვირუსი ლუგარის ლაბორატორიის გახსნამდე 2 წლით ადრე გაჩნდა

5 იანვარს ქართულმა გამოცემებმა — გაზეთმა „ალია“ და ონლაინ პორტალ euronews.ge-მ გამოაქვეყნეს იდენტური სტატიები, რომლებიც მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებენ, თითქოს ღორის გრიპი მხოლოდ საქართველოში გავრცელებული ეპიდემიაა და მას ლუგარის ლაბორატორია ავრცელებს:

„ალია“ იმუქრება, რომ ,,ღორის გრიპი მხოლოდ ჩვენთან მძვინვარებს! ეს არის შედეგი ლუგარის ლაბორატორიის!“

euronews.ge ერთმნიშვნელოვნად გვიმტკიცებს, რომ ,,ეს არის შედეგი ლუგარის ლაბორატორიის“ — დავაიგნორეთ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსებმა განაცხადეს“.

ამ ინფორმაციის წყარო „ქართული მარშის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის ლადო სადღობელაშვილის ფეისბუქ-პოსტი გახდა, რომელიც აღნიშნულმა მედიებმა ცალმხრივად, მტკიცებით ფორმაში გაავრცელეს. სადღობელაშვილი სოციალური მედიის მეშვეობით ლუგარის ლაბორატორიის დახურვის მოთხოვნით ასევე აქციებს აანონსებს. აღნიშნული სტატიები აქტიურადაა გაზიარებული სხვადასხვა სპამურ ჯგუფებში.

მტკიცება, თითქოს ღორის გრიპის ეპიცენტრი მხოლოდ საქართველოა და მას ლუგარის ლაბორატორია ავრცელებს, აბსურდულია, ვინაიდან ვირუსი H1N1 ლუგარის ლაბორატორიის გახსნამდე 2 წლით ადრე, 2009 წლიდან ვრცელდება, ხოლო ლაბორატორია საქართველოში 2011 წელს გაიხსნა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ანგარიში კი ადასტურებს, რომ ღორის გრიპი საქართველოს გარდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზეა გავრცელებული. ეს დეზინფორმაცია რუსეთის ხელისუფლებისა და კრემლის მედიიდან იღებს სათავეს და წლებია, ვირუსულად ვრცელდება.

ფაქტი 1.

H1N1 2009 წლიდან ვრცელდება, ხოლო ლუგარის ლაბორატორია 2011 წლიდან ფუნქციონირებს

ღორის გრიპის ვირუსი, ანუ H1N1 ლუგარის ლაბორატორიის გახსნამდე 2 წლით ადრე, 2009 წლის აპრილიდან ვრცელდება, ხოლო სენატორ რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია 2011 წელს გაიხსნა.

ლაბორატორია 2013 წელს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო 2018 წლიდან ლუგარის ცენტრისა და ლაბორატორიული ქსელის სრულ დაფინანსებასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას საქართველოს მთავრობა იღებს.

ფაქტი 2.

ღორის გრიპი საქართველოს გარდა მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზეა გავრცელებული

როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ უახლეს ანგარიშში ვკითხულობთ, რომელიც 2018 წლის 24 დეკემბრით თარიღდება, წლევანდელ გრიპის სეზონზე ღორის გრიპი ყველა კონტინეტზეა გავრცელებული და მის მიმართ იმუნური არც სხვა ქვეყნები არიან.

ღორის გრიპს აქტიურად ებრძვიან ირლანდიაშიც, სადაც ბოლო მონაცემებით 4 ადამიანია გარდაცვლილი.

რუსული კონსპირაციის წყაროები

კონსპირაცია რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის შესახებ წლებია ვრცელდება და მისი წყარო რუსეთის ხელისუფლება და კრემლისტური მედიაა.

2018 წელს რუსეთის ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის ფედერალური სამსახურის („როსსელხოზნადზორი“) პრესმდივნმა იულია მელანომ, ლუგარის ლაბორატორია აფხაზეთში აზიური ფაროსანის გავრცელებაში დაადანაშაულა.

რუსეთის ფედერაციის დუმის დეპუტატმა და ყოფილმა მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ 2016 წელს ლუგარის ცენტრი აფხაზეთში ზიკას ვირუსის ხელოვნურ გამოყვანაში დაადანაშაულა, ხოლო 2013 წელს რუსეთში ღორის აფრიკული ჭირის გავრცელებასთან დააკავშირა.

„როსია 24“, „ვესტი“, 4 ოქტომბერი. იგორ კოჟევინი, წამყვანი: **„თავდაცვის სამინისტრომ გააანალიზა დოკუმენტები ეგრეთ წოდებული ჯანდაცვის ცენტრის შესახებ, რომელიც ამერიკელებმა საქართველოში ააშენეს. მიღებული მონაცემების მიხედვით, პენტაგონი სწორედ აქედან ავრცელებდა ჩვენს ქვეყანაში ღორის აფრიკულ შავ ჭირს. “**

სადღობელაშვილის პოსტს წინ უსწრებდა 2018 წლის 27 დეკემბერს რუსულ გამოცემა „360.ru“-ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „ბიოლოგიური იარაღი მოქმედებაში? საქართველოში ღორის გრიპის ვირუსის აფეთქება ლუგარის ლაბორატორიის მუშაობასთან არის დაკავშირებული“. სტატიაში წყაროდ მოყვანილია ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი, რომელიც ამტკიცებს, თითქოს ქართველები და ამერიკელები ერთად მუშაობენ ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებასა და ვაქცინების ტესტირებაზე. გარდა ჟურნალისტისა, სტატიაში მოყვანილია იგორ გიორგაძის განცხადებაც, თითქოს აღნიშნული ლაბორატორიის მუშაობის გამო 2015 წლიდან დღემდე დაღუპულია 30-ზე მეტი ადამიანი. სილვერმანი ასევე ამტკიცებს, რომ ახალი ლაბორატორიის მშენებლობა იგეგმება სომხეთში და ამ საკითხზე ამერიკელებთან ერთად უკვე მუშაობენ სომხები.

ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი, რომელიც „360.ru“-ს წყაროდ ჰყავს მოყვანილი, ჯერ კიდევ 2018 წლის 16 სექტემბერს ლუგარის ლაბორატორიას არა მხოლოდ ღორის გრიპის გავრცელებაში, არამედ სირიაში მომწამლავი გაზის გამოყენებაში ადანაშაულებდა — „აქ (ლუგარის ლაბორატორიაში) არის ბიოლოგიური აგენტები, განსაკუთრებით საშიში ნივთიერებები. მათი იარაღად გამოყენება შეიძლება. თქვენ ხომ გახსოვთ, რომ რამდენიმე წლის წინათ საქართველოსა და რუსეთის სამხრეთში ადამიანები ღორის გრიპით იღუპებოდნენ. ეს შემთხვევითი არ იყო. და ეს ისტორია შესაძლოა, არა მხოლოდ ბიოლოგიური იარაღის, არამედ საბრძოლო გაზის გამოყენებაზეცაა. მე ვმუშაობ გამოცემაში, რომელიც სამხედრო დაზვერვითაა დაკავებული. ჩვენ ჩავატარეთ გამოძიება და გავარკვიეთ, რომ აქედან მომწამვლელი გაზი გადაჰქონდათ თურქეთში და შემდეგ ეს გაზი სირიაში გამოიყენეს. ეს იყო პროვოკაცია ასადის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გასამართლებლად. “

რეალური ფაქტები ლუგარის ლაბორატორიის შესახებ

საქართველოში არსებული რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის პრიორიტეტებია:

სურსათის უვნებლობა — ლაბორატორია თანამშრომლობს სოფლის მეურნეობის ცენტრალურ ლაბორატორიასთან საკვები პროდუქტების ბიოლოგიური კვლევების მიმართულებით;

საქართველოს მოქალაქეების დაცულობა ეპიდემიებისა და ინფექციური დაავადებებისგან — აღმოჩენილი ან გავრცელებული ეპიდემიების დროული დიაგნოსტიკისა და პრევენციის მეშვეობით როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში;

ბიოლოგიური კატასტროფების საფრთხის შემცირება — რითაც წვლილი შეაქვს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო უსაფრთხოებაში;

სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება — ცენტრის შესაძლებლობებს ფართოდ იყენებენ მაგისტრანტების და დოქტორანტების მოსამზადებლად და სამეცნიერო კვლევებისათვის სხვადასხვა უნივერსიტეტები, მათ შორის მეზობელი ქვეყნებიდან.

მედიაწიგნიერების ლაბორატორიის რეგიონული ქსელი

კარანტინის გამოცხადება ცალკეული სამედიცინო დაწესებულების კომპეტენცია არაა

ბოლო დღეებში რამდენიმე საავადმყოფომ, გრიპის ვირუსთან დაკავშირებით, კარანტინი გამოაცხადა. რამდენად კრიტიკულია აღნიშნული მდგომარეობა, ამასთან დაკავშირებით განცხადებას საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების აღმასრულებელი მდივანი არჩილ მორჩილაძე აკეთებს, რომელიც განმარტავს, რომ კარანტინის გამოცხადება ცალკეული სამედიცინო დაწესებულების კომპეტენცია არაა.

„პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ, რომ სიტყვა კარანტინის გამოყენება ასე უაპელაციოდ არ შეიძლება. საკარანტინო დაავადებები მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებს და მათი ჩამონათვალი განსაზღვრულია ჯანდაცვის შესახებ კანონით, ეს დაავადებებია: ქოლერა, შავი ჭირი, ყვითელი ცხელება, კონტაგიოზური ჰემორაგიული ვირუსული ცხელებები, ყვავილი. თუ ასეთი დაავადებები დაფიქსირდა, სწორედ ამას უნდა მოჰყვეს ქვეყნის მასშტაბით(მათ შორის საზღვრებზე) ის საკარანტინო ღონისძიებები, რაც განსაზღვრულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებით. საბედნიეროდ, ასეთი რამ ქვეყანაში არ ხდება და ჯანდაცვის სამინისტროსაც მსგავსი რამ არ განუცხადებია.

კარანტინის გამოცხადება არ არის ცალკეული სამედიცინო დაწესებულების კომპეტენცია. მათ შეუძლიათ, მხოლოდ გაამკაცრონ შიდა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესები. ვფიქრობ, რომ სწორედ ამას გულისხმობდნენ, როდესაც მსგავსი განცხადებები გაკეთდა“, — განმარტავს არჩილ მორჩილაძე.

,,ტამიფლუ“ — მხოლოდ ექიმის დანიშნულებით

„ტამიფლუ“ არის სერიოზული პრეპარატი, რომელიც კონკრეტული გართულების შემთხვევაში ექიმის დანიშნულებით უნდა მივიღოთ, — ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა მარიან ივანუშამ განაცხადა. ის მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ჩვეულებრივი რესპირატორული სიმპტომების დროს „ტამიფლუ“ არ მიიღონ.

„ზოგ ქვეყანაში ექიმები მხოლოდ განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში ნიშნავენ „ტამიფლუს“. „ტამიფლუ“ არის ანტივირუსული პრეპარატი, ანტიბიოტიკის მსგავსია, რომელიც მუშაობს გრიპის ვირუსის წინააღმდეგ. მინდა, გავაფრთხილო მოსახლეობა, წამლები არ არის კანფეტი, არ შეიძლება როგორც ტკბილეული, ისე მიიღოს ადამიანმა თავისი გადაწყვეტილებით. თუ ჩვეულებრივი რესპირატორული სიმპტომები დაინახეთ, ამის გამო, ნუ მიიღებთ „ტამიფლუს“. ეს არის სერიოზული პრეპარატი, რომელიც კონკრეტული გართულების შემთხვევაში ექიმის დანიშნულებით უნდა მივიღოთ“, — განაცხადა მარიან ივანუშამ.

საქართველოში არსებული ვაქცინა კარგი ხარისხისაა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის მარიან ივანუშას თქმით, საუკეთესო პერიოდი ვაქცინაციისთვის გვიანი შემოდგომაა. „არ გეუბნებით, რომ ვაქცინაცია ახლა ძალიან დაგვიანებულია, თუმცა მის ამოქმედებას ორი კვირა მაინც სჭირდება. საუკეთესო პერიოდი ვაქცინაციისთვის არის გვიანი შემოდგომა, ოქტომბერ-ნოემბერი, ეს არის საუკეთესო პრევენცია. ვაქცინები დარჩენილია და მოსახლეობას შეუძლია, ჩაიტაროს ვაქცინაცია, თუმცა შესაძლოა, მან მუშაობა ვერ მოასწროს. რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, საქართველოში ეს ჩვეულებრივი გრიპის სეზონია, როგორც არის რეგიონის სხვა ქვეყნებში, არაფერი განსაკუთრებული ამ ეტაპზე არ ხდება“, — განაცხადა მარიან ივანუშამ.

მერის კომპეტენცია ტექნიკურად გამართული სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისის უზრუნველყოფაა

თბილისის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა, საქართველოში გრიპის ვირუსის გახშირებულ შემთხვევებთან დაკავშირებით, ოპოზიციის ბრალდებებს პასუხობს. დეპუტატის თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება სრული დატვირთვით მუშაობს. ირაკლი ზარქუას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ განახლდა სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ავტოპარკი და ტექნიკურად გაიმართა სერვისი, მაღალი მიმართვის გამო არის გარკვეული ხარვეზები და გარკვეულ შემთხვევებში გამოძახებაზე მისვლა გვიანდება.

„მინისტრმა გარკვევით თქვა, რომ სამინისტრო ყველა ღონისძიებას გეგმის მიხედვით ახორციელებს. ეს პრობლემა არ არის მხოლოდ თბილისში და როცა ქვეყნის მასშტაბით არსებულ მდგომარეობაზეა საუბარი, დედაქალაქის მერის კომპეტენციაში არ შედის ჯანდაცვის ღონისძიებების გატარება. მერის კომპეტენცია სასწრაფოს ტექნიკურად გამართული მუშაობის უზრუნველყოფაა,“ — განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

ქართული ღვინის ექსპორტის მაჩვენებელმა 86 მლნ ბოთლს გადააჭარბა

გასულ, 2018 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86,2 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც, ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ბოლო თითქმის 30 წლის რეკორდული მაჩვენებელია. ზრდამ 2017 წელთან შედარებით 13%-ს მიაღწია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 203 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ითაა გაზრდილი.

ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: იაპონია – 37% (211 883), პოლონეთი – 31% (3 508 122), დიდი ბრიტანეთი – 33% (105 608) და აშშ – 2% (466 056);

ევროპის მიმართულებით: შვეიცარია – 378% (25 350), დანია – 111% (17 834), რუმინეთი – 100% (99 774), ჩეხეთი – 81% (61 908), იტალია 69% (17 244), ბულგარეთი – 60% (26 790), ნიდერლანდები – 38% (82 641), გერმანია – 20% (483 791), ლიეტუვა – 17% (488 154), საფრანგეთი – 14% (113 885), ლატვია – 14% (1 711 078), ესტონეთი – 11% (581 190) და ა.შ.;

ტრადიციულ ბაზრებსა და აზიის მიმართულებით: სამხრეთ კორეა – 275% (68 124), თურქმენეთი – 196% (197 694), ყირგიზეთი – 63% (218 550), აზერბაიჯანი – 40% (197 724), მონღოლეთი – 27% (214 398), უკრაინა – 26% (10 687 835), რუსეთი – 12% (53 682 627), ყაზახეთი – 8% (3 599 143) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების ათეულია: რუსეთი (53 682 627), უკრაინა (10 687 835), ჩინეთი (6 951 019), ყაზახეთი (3 599 143), პოლონეთი (3 508 122), ლატვია (1 711 078), ბელარუსი (1 606 002), ესტონეთი (581 190), ლიეტუვა (488 154) და გერმანია (483 791).

2018 წელს, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 284-მა კომპანიამ განახორციელა.

ექსპორტიორი კომპანიების რიცხვი გასულ წელთან შედარებით 34-ით გაიზარდა.

ამასთან, მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 20 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 9%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 40,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი – ზრდა 3%-ს აღწევს.

მსოფლიოს 26 ქვეყანაში ექსპორტირებულია 422 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 47% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 1,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ 2017 წელთან შედარებით 44%-ს მიაღწია.

მთლიანობაში – ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 306,5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს – ზრდამ 2017 წელთან შედარებით 7%-ს მიაღწია.

ქართველი სპეციალისტები შავ ზღვას იკვლევენ

ქართველი სპეციალისტები შავ ზღვაში კვლევებს თანამედროვე მოწყობილობებით სამეცნიერო-კვლევითი ექოსაუნდერის და წყლის ხარისხის მონიტორინგის უახლესი პორტატიული აღჭურვილობით განახორციელებენ.

მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტს შესაძლებლობა ექნება სამეცნიერო კვლევები და შავი ზღვის მონიტორინგი მაღალი სიზუსტით შეაფასონ. სპეციალისტები მიღებული გამოცდილების საფუძველზე უკვე სრულიად ახალი, თანამედროვე ხელსაწყოთი – ეკოსაუნდერის საშუალებით განახორციელებენ შავ ზღვაში თევზის მარაგების ოდენობის დათვლას. რაც საშუალებას მისცემს სპეციალისტებს მაღალი სიზუსტით ჩაატარონ კვლევები, განსაზღვრონ სწორი სარეწაო პროგნოზირება და რაც ხელს შეუწყობს მეთევზეობის განვითარებას.

შავი ზღვის მონიტორინგის გაძლიერების ფარგლებში წყლის ხარისხის მონიტორინგის უახლესი აღჭურვილობის საშუალებით კი სპეციალისტებს შეესაძლებლობა ექნება ზღვისა და მტკნარი წყლების ფიზიკურ-ქიმიური, დაბინძურების ევტროფიკაციის მონიტორინგი განახორციელონ.

აღსანიშნავია, რომ მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტს მსგავსი სახის მოწყობილობები არ გააჩნდა.

უახლესი თანამედროვე ხელსაწყოები გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ იქნა შეძენილი რომლის მთლიანი ღირებულება 343 500 ლარს შეადგენს.

„ომეგას“ ამუშავებულმა ფაბრიკამ ბიუჯეტს უკვე 6 მილიონი შესძინა

ე.ი. „ომეგამ“ 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 2019 წლის 1 იანვრის ჩათვლით, ბიუჯეტში 6 მილიონი შეიტანა, – ამის შესახებ „ომეგა ჯგუფის“ მენეჯმენტში აცხადებენ. ამასთან, როგორც „ომეგას“ მთავარმა მენეჯერმა ლევან აღდგომელაშვილმა „ნიუპოსტს“ განუცხადა, მიმდინარე წლის იანვრიდან, შეცვლილი ტარიფების გამო, „ომეგა“ 2019 წელს ბიუჯეტში გაორმაგებულ თანხას, ანუ 60-დან 80 მილიონს ლარს შეიტანს.

კითხვაზე, გაორმაგებული დაბეგვრა, ანუ უფილტრო და ფილტრიანი სიგარეტის აქციზური მარკების საფასურის გათანაბრება როგორ იმოქმედებს „ომეგაზე“, ლევან აღდგომელაშვილი პასუხობს, რომ „ომეგა“ თანაბარ პირობებში მუდამ კონკურენციის მომხრეა.

„ტენდენციის მიხედვით, რომელიც ბოლო თვეებში ფინანსთა სამინისტროსა და „ომეგას“ შორის შეინიშნება, „ომეგას“ ბიზნესი განვითარდება. შესაბამისად, თუ ბოლო ორ თვეში ბიუჯეტში 6 მილიონი ლარი შეიტანა, 2019 წლის განმავლობაში ეს თანხა 60-დან 80 მილიონ ლარამდე იქნება.

„ომეგა“ კვლავ ხელმძღვანელობს ხარისხით, ბაზარზე ინოვაციების დანერგვით, წარმადობის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე, პროდუქციის ექსპორტზე გატანით.

ყველაფერ აქედან გამომდინარე, „ომეგას“ აქვს ამბიცია, რომ იყოს ლიდერი ბიუჯეტში შენატანი თანხებით არა წარსულში, არამედ, – მომავალში, რაშიც სახელმწიფოს ხელშეწყობის იმედი გვაქვს,“ – აცხადებს აღდგომელაშვილი.

ავტომფლობელთა საყურადღებოდ!

2019 წლის პირველი იანვრიდან დღემდე სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 8,617-მა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ გაიარა, მათგან 53 პროცენტზე მეტი გამართულად ჩაითვალა, 46 პროცენტი პირველად ინსპექტირების შედეგად დახარვეზდა, ხოლო 0,4 პროცენტს ინსპექტირების ცენტრებმა გზაზე გადაადგილება თავიდანვე აუკრძალეს.

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება საქართველოში რეგისტრირებული ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის 2019 წლიდან გახდა სავალდებულო. თუმცა აღნიშნული რეფორმა 2018 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდებოდა. 2018 წლიდან დღემდე ინსპექტირება 148,100-მა ავტოსატრანსპორტო საშუალებამ გაიარა, მათი 68 პროცენტზე მეტი პირველივე შემოწმებისას გამართული აღმოჩნდა, ხოლო 2,5 პროცენტს გზებზე მოძრაობა აეკრძალა.

აღსანიშნავია, რომ თუ ინსპექტირებისას ავტომობილი პირველ შემოწმებას ვერ გაივლის დადებითად, ავტომფლობელს აქვს 30 კალენდარული დღე ხარვეზის გამოსასწორებლად. იმავე ტესტირების ცენტრში ავტომობილის განმეორებითი ინსპექტირება უფასოა. მსუბუქი ავტომობილის ტექნიკური ინსპექტირების საფასური 60 ლარია მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსებულ ცენტრებში.

სად მდებარეობს წალენჯიხისა და მესტიის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვარი?

საქართველოს საავტომობილო გზებზე თითქმის ყველგან არსებობს ფირნიშები,რომლებიც გვამცნობენ, თუ სად იწყება და სად მთავრდება ესა თუ ის მუნიციპალიტეტი, ქალაქი, სოფელი, რითაც ადამიანებს უადვილდებათ მათთვის სასურველ მისამართზე მისვლა. ამ ფაქტს მას შემდეგ მიექცა განსაკუთრებული ყურადღება,როდესაც საქართველოში იმატა ტურისტების ნაკადმა.

ზუგდიდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შემავალი ქალაქ ჯვარის (სადაც მდებარეობს ცნობილი ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი) გავლით მესტიამდე უამრავი ტურისტი და მგზავრი გადაადგილდება ზამთარ-ზაფხულ და ამ გზაზე ისინი ვერსად ვერ ნახავენ იმის აღმნიშვნელ ფირნიშს, თუ სად მთავრდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტი და სად იწყება მესტიისა,ანუ სად მთავრდება სამეგრელო და სად იწყება სვანეთი და პირიქით.

მიზეზი კი თურმე ისაა,რომ მესტიისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებს შორის დიდი ხანია, მიმდინარეობს ტერიტორიული „დავა“ ადმინისტრაციული საზღვრის დადგენის გამო.

ჯერ კიდევ საქართველოს სსრ 1950წელს გამოშვებული სასწავლო რუკის თანახმად საზღვარი ამ ორ ადმინისტრაციულ ერთეულს შორის მდებარეობდა სოფელ ხუდონსა და სოფელ ბარჯაშს შორის და რამდენჯერაც იქნა დაყენებული ფირნიში იმ ადგილას, სადაც ყოველთვის იყო ეს საზღვარი, იმდენჯერვე მოთხარეს და გადააგდეს. მესტიელები რატომღაც თვლიან რომ საზღვარი ამ ორ მეზობელ რაიონს შორის იქაა, სადაც მდებარეობს ომუნეს კოშკი, ამიტომაც ეს კოლხური კოშკი, რომელიც ოდითგანვე წალენჯიხის (ჯვარის) ტერიტორიაზე მდებარეობდა, 1982 წელს ყოველგვარი ნებართვის გარეშე გადაკეთდა სვანურ კოშკად, რასაც დღემდე აპროტესტებს წალენჯიხის რაიონის მოსახლეობა. ისინი მოითხოვენ, რომ კოშკს დაუბრუნინდეს პირვანდელი სახე და ადმინისტრაციულ საზღვრად დაადგინეს ძველი ადგილმდებარეობა, არადა მანძილი ომუნეს კოშკსა და ადრინდელ საზღვარს შორის რამდენიმე ათეული კილომეტრია.

ასეთ გაურკვეველ ვითარებაში ფირნიშის დაყენებას აზრი არა აქვს, ამიტომაც ცენტრალურმა თუ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ხელისუფლებებმა დროზე უნდა მოაგვარონ ეს ერთობ პრობლემური საკითხი, რათა ამ ორ უძველეს ქართულ ეთნოსს შორის დავა დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს!

ლადო ძირია.
ზუგდიდიდან.

ავტომობილი შემოწმდება შემდეგ პარამეტრებზე: გამონაბოლქვი, სამუხრუჭე სისტემა, საჭის მექანიზმი, სავალი ნაწილები, საბურავები, ხილვადობა, ფარები, შუქამრეკლები და ელექტრომოწყობილობა.

ავტომობილის ინსპექტირების ბოლო ვადა განისაზღვრება ავტომობილის რეგისტრაციის რიცხვისა და თვის შესაბამისად. მაგალითად, თუ ავტომობილის რეგისტრაციის თარიღია 15 აპრილი, ავტომობილს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გავლილი უნდა ჰქონდეს მიმდინარე წლის 15 აპრილის ჩათვლით.

ინსპექტირების პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, მოქმედებს ცხელი ხაზი - 1484, რომელიც მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს 09:00-18:00 სთ-ებში.

„ბოსლებს“ 336 ჰა სათიბ-საძოვარი 25-წლიანი იჯარით გადაეცა

კოოპერატივ რკ „ბოსლებს“ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ბოსლეთში და ბოსლეთის მთაში მდებარე 336 ჰა სათიბ-საძოვარი 25-წლიანი იჯარის უფლებით გადაეცა. კოოპერატივს აღნიშნული ფართი მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაეცა.

გაერთიანებაში მყოფი მოსახლეების საკუთრებაში 200 სულზე მეტი საქონელია.

აღნიშნული პროგრამის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მთიდან მიგრაციის შეჩერება.

„ყველაფერი იცოან და ყველაფერი ვაკვებათ მხოლოდ სოფლებსა და თავლითებს“

ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

ქართულად გადმოაქცია გურამ გოგიაშვილმა

დაწერენ ვიღაცაზე ათას სტრიქონს, ქვემოთ კი მიამატებენ: „არის კიდევ ერთი მწერალი ჩეხოვი: წუწუნა...“ აბა, მე რა წუწუნა ვარ? რა „პირქუში კაცი ვარ“, რა „ცივი სისხლი ვარ“, როგორც კრიტიკოსნი მომიხსენიებენ? აბა მე რა „პესიმისტი“ ვარ? ჩემს მოთხრობათაგან ჩემი ყველაზე საყვარელი მოთხრობა „სტუდენტია“. სიტყვათაგან კი საძაგელია: „პესიმისტი“.

* * *

უკეთუ პესიმისტი გავხდი და პირქუშ მოთხრობებს ვწერ, სულ ჩემი პორტრეტის* გრალია.

* * *

ნიჭიერება უწინარესად ყოვლისა რუდუნებაა.

თავისი „არტელი“

სადაც ხელოვნებაა, სადაც ნიჭია, იქ არც სიბერეა, არც მარტოობა, არც ავადობაა, და თვით სიკვდილიც განახევრებულია...

ოდეს ისეთი შემოქმედნი იბადებიან, როგორიც ჩეხოვია, ქვეყანა თავდაპირველად იმათ ჩვეულებრივ ადამიანებსავით ხვდება, მერე კი... ყველა ხვდება, რომ სულ ერთიანად მანქანიერ სარკეში არიან არეკლილნი. ეს სარკე კი არ ამახინჯებს, არამედ იმას აძლიერებს, რაც ოდნავ უნდა გადაირეცხოს, რათა შეუმჩნეველს მიექცეს ყურადღება. ასეთი სარკის მაგია ის არის, რომ ხან ერთი ფიგურის უკან ჩნდება მთელი დუნდგოს ჩრდილი. თანაც არა გულგრილი და არა უწყინარი. ასეთ „სარკეებს“ ჩეხოვი თავის არტელს ეძახდა.

დიდ მაგიურ სარკეთა „არტელი“ – ეს ვერცხლის საუკუნის მწერლები არიან. ამ „არტელის“ დასაბამად, რამდენადმე პირობითად, 1880 წლის 6 ივნისი ითვლება. მოსკოვში ტვერსკის ბულვარზე ა. პუშკინის ძეგლის გახსნის დღე. მაშინ „ოქროს“, მზიური ხანა გაუკვდავდა, და იმის მაგიერ მოვიდა „მთვარის ღამის შუქის ვერცხლის მოვეტონი“. ჯერეთ კიდევ უცნობ ა. ჩეხოვს, რომელიც ძეგლის გახსნას ესწრებოდა, ოცნებაც არ შეეძლო იმაზე, რომ სამეფო არტელის კარს გაუღებდნენ და მიიღებდნენ. იგი აღტაცებული იყო ოსტატებით, სწავლობდა იმათგან, რათა შემდგომში როგორც ტოლებთან, ისე ელაპარაკა და გამხდარიყო სარკე, რომელიც გამოაკრთობდა კაცობრიულ სულთა ზესიმწყობრეს. „პუშკინი პროზაში“ უწოდა ლევ ტოლსტოიმ ჩეხოვს, რომელსაც საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს.

ამის მერე ჩეხოვმა პატარა ოროთახიანი სახლი იყიდა მელეხოვში, იმ ადგილის შორიახლო, სადაც პუშკინის შთამომავალნი ცხოვრობდნენ პოეტის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, ხოლო მერე საგვარეულო აკლდამას შეეკედლნენ. ჩეხოვი, ჩუკოვსკის სიტყვებით, „მაგნატსავით სტუმართმოყვარე მასპინძელი იყო“. იქ ხშირად სტუმრობდნენ ლევიტანი, გილიაროვსკი, ბრაზი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, შჩეგლოვი, პოტაპენკო, რომლებიც ხშირად ღამის გასათევადაც რჩებოდნენ.

ეს სტუმართმოყვარეობის ტრადიცია მერეც გაგრძელდა, როცა ჩეხოვი საცხოვრებელ ადგილთ იცვლიდა.

დრომ შემოინახა ჩეხოვის თანამზრახველთა სხარტი, ემოციური „პორტრეტები“. ჩეხოვი ესთეტიკის სიმართლის დამცველია. არც იმას უარყოფს, რომ ამ „პორტრეტებში“ ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგსაც ფოფოდია.

* * *

ლევ ტოლსტოიზე: მაგისი (ლ. ტოლსტოისა) მეშინია, მაგან ხომ „ანა კარენინა“ დაწერა.

* * *

ტოლსტოის სიკვდილი მაშინებს. ეგ რომ აღესრულოს ჩემს ცხოვრებაში დიდი ცარიელი ადგილი დარჩება. ჯერ ერთი, არც ერთი კაცი ისე არ მყვარებია, როგორც იგი; მე არამორწმუნე კაცი ვარ, მაგრამ ყველა რწმენიდან ჩემთვის ყოვლის უფრო ახლობელი და შესაფერისი სახელდობრ იმისი რწმენა მიმაჩნია. მეორეც, როცა ლიტერატურაში ტოლსტოია, მაშინ ადვილი და სასიამოვნოა ლიტერატორად ყოფნა; იმის შეგნებაც კი, რომ არც არაფერი გაგიკეთებია და არც აკეთებ, არცთუ ისე საშიშია, რამეთუ ტოლსტოი ქმნის ყველას მაგივრად. ტოლსტოის მოღვაწეობა სუყოველი იმ რწმენისა და იმედის გამართლებაა, რაც ლიტერატურას ეკისრება. მესამეც, ტოლსტოი მაგრად დგას, სახელი უზარმაზარი აქვს და ვიდრე ცოცხალია, უხეირო გემოვნებიან ლიტერატურაში, ყოველგვარი უხამსობანი, კადნიერებანი და ცრემლთა ღვარღვარი, ყველანაირი სიმქისე, გაბოროტებული თავმოყვარეობანი შორს და ღრმად იქნება ჩრდილში. მარტო ერთ იმის ზნეობრივ აბრუ-სახელს ძალუძს ეგრეთ წოდებულ ლიტერატურულ განწყობილებათა და მიმდინარეობათა ცნობილ დონეზე ჭერა. უიმისოდ ეს იქნებოდა უმწყემსო ნახირი ან ხალიფაფა, წყალწყალა და გაუგებარი გემოსი.

* * *

ტოლსტოი ტოლსტოია! ეს, ამჟამინდელი დროისდა მიხედვით, კაცი კი არა, დევკაცია, იუპიტერია!

* * *

ნუთუ არ მოგეწონათ „კრეიცერის სონატა“? არ ვიტყვი, რომ ეს გენიალური ქმნილება იყო, მარადიული – აქ მე მსაჯულად არ გამოვდგები, მაგრამ, ჩემი აზრით, მთელ იმ მასაში, რაც ახლა ჩვენში და საზღვარგარეთ იწერება, საეჭვოა, რომ ჩანაფიქრის მნიშვნელობისა და შესრულების სილამაზის მიხედვით მოვიძიოთ თანაბარძალიანი რამ. აღარაფერს ვამბობ მხატვრულ ღირსებებზე, რომლებიც ადგილ-ადგილ განსაცვიფრებელია, მადლობა მოთხრობას მარტო იმ ერთი რამის გულისთვის, რომ აზრს აღაგზნებს. ამ მოთხრობის კითხვისას თავს ძლივს იკავებ, რომ არ იყვირო: „ეს სიმართლეა!“ ანდა: „ეს შეუსაბამოა!“ მართალია, მოთხრობას აქვს ძალზე დასანანი ნაკლოვანებანიც... სახელდობრ – გაბედულება, რომლის საშუალებითაც ტოლსტოი იმას განმარტავს, რაც მან არ უწყის და სიჯიუტის გამო არ უნდა გაგება. ამრიგად, იმისი მსჯელობა სიფილისზე, სააღმზრდელო სახლებზე, ქალების ზიზღზე შესქესების მიმართ და კიდევ ზოგიერთ რამეზე არა მარტო საკამათო შეიძლება რომ იყვეს, არამედ პირდაპირ ამხილებენ უბირ ადამიანს, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ შეიწუხა თავი სპეციალისტთა მიერ დაწერილი ორი-სამი მცირე წიგნის წასაკითხად. მაგრამ სუყოველი ეს ნაკლოვანება ისე იფანტება ვით ბუმბული ქარისგან; მოთხრობის ღირსებათა გამო ამ ნაკლოვანებებს ვერც ამჩნევ, ხოლო თუ შეამჩნევ, მხოლოდ იწყენ, რომ მოთხრობამ ვერ აირიდა სუყოველი კაცობრიული საქმის ხვედრი, რომელი საქმენიც არასრულყოფილნი და დაულაქავნი არ არიან.

* * *

ყოველღამ ვიღვიძებ და „ომსა და მშვიდობას“ ვკითხულობ. ისეთი ცნობისმოყვარეობითა და გულუბრყვილო გაკვირვებით ვკითხულობ, თითქოს ადრე არ წამეკითხოს. ჩინებულად კარგი რამ არის. ოღონდ ის ადგილები არ მიყვარს, სადაც ნაპოლეონია. ჩნდება თუ არა ნაპოლეონი, ეგრევე ჩნდება დაძაბულობა და ყველაგვარი ფოკუსები, რათა დამტკიცდეს, რომ ის ბევრად უფრო წაისულელებს, ვიდრე სინამდვილეში იყო. ყოველივე, რასაც შვრებიან და ამბობენ პიერი, თავადი ანდრეი ანდა სავსებით არაფრის მაქნისი ნიკალაი როსტოვი – ყოველივე ეს კარგია, ჭკვიანურია, ბუნებრივი და ამაღელვებელია; მაინც, რას ფიქრობს და რასა იქმს ნაპოლეონი – ეს არაბუნებრივია, გაბღენძილი და არარაა მნიშვნელობისდა მიხედვით.

* * *

ღმერთი ჭკვიანურად იქცევა: გაღმა სოფელში გაიყვანა ტოლსტოი და სალტიკოვი და ამდაგვარად ის დაბაზავა, რაც დაუზავებელი გვეგონა.

* * *

მ.ე. სალტიკოვ-შჩედრინზე:

ღმერთმანი, მეცოდება სალტიკოვი. ეს იყო მაგარი ძლიერი თავი. იმ ვიგინდარა სულმა, რომელიც ცოცხლობს წვრილ, საშუალო ყაიდის სულიერად გაყალთაბანდებულ რუს ინტელიგენტში, სალტიკოვის სახით დაკარგა თავისი ყოვლის უფრო ჯიუტი და აბეზარი მტერი. მხილება ძალუძს თითოეულ გაზეთის მუშაკს, დაცინვაც ძალუძს <...> მაგრამ ღიად ზიზღი ძალედვა ერთ მარტო სალტიკოვს. მკითხველთა ორ მესამედს არ უყვარდა იგი, მაგრამ სუყველას სწამდა იმისი. კაცი შვილი არ ეჭვობდა იმისი ზიზღის გულწრფელობაში.

* * *

ლ.ნ. ანდრეევზე:

წავიკითხავ ანდრეევის ერთ გვერდს და ანკარა ჰაერზე ორი საათი გასეირნება მინდება.

* * *

მ. გორკიზე:

როგორ მოგწონთ გორკი? მე ყველაფერი მომწონს, რასაც ის წერს, ოღონდ ზოგიერთი რამ ძალიან, ძალიან მომწონს და სულაც ეჭვი არ მეპარება, რომ გორკი იმ ცომისგან გამომცხვარია, რომლისგანაც მხოლოდ კარგნი შემოქმედნი გამოდიან. იგი ნამდვილია. როგორც ადამიანი, კარგი ვინმეა, გონიერია, მოფიქრალი და დაკვირვებულია. მაგრამ მასზე და მასში ბევრი სულაც არასაჭირო რამ მარგია – პროვინციალიზმი.

* * *

„თომა გორდეევი“ დაწერილია ერთი ტონით, როგორც დისერტაცია. ყველა მოქმედი პირი ერთნაირად მეტყველებს და აზროვნების ხერხიც ყველას ერთნაირი აქვს; ყველა ლაპარაკობს არა უბრალოდ, არამედ ყასიდად; ყველას რაღაც ფარული აზრი აქვს; რაღაცას ბოლომდე არ ამბობენ, თითქოს რაღაცა იციან; სინამდვილეში არც არაფერი არ იციან, თავის დაჭერის მანერა აქვთ ასეთი – ლაპარაკობენ და სათქმელს ბოლომდე არ ამბობენ. „თომაში“ საოცარი ადგილებია. გორკისგან ვეება მწერალი დადგება, უკეთუ არ დაიღლება, არ გაცივდება და არ გაზარმაცდება.

* * *

გ.ი. უსპენსკიზე:

„ცოცხალი ციფრები“ ჩმახია, რომლის კითხვაც და გაგებაც ძნელია.

* * *

ვ.მ. გარშინზე:

ბოლო დროის მწერალთაგან ჩემთვის ფასი აქვთ მხოლოდ გარშინს, კოროლენკოს, შჩეგლოვსა და მასლოვს. ამათ ყველას კარგ მწერალთ მივათვლი, არა, ვიწრო ადამიანები არ არიან.

* * *

ორჯერ ვიყავი გარშინთან და ვერც ერთხელ შინ ვერ ვნახე. ვნახე მხოლოდ ერთი აყუდებული კიბე... საგულისხმოა, რომ სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე მან იცოდა, რომ კიბიდან ჩამოვარდებოდა, და ემზადებოდა ამ დასასრულისთვის. აუტანელი ცხოვრება ჰქონდა! ახლაც თვალწინ მიდგას ის საშინელი კიბე – ჩაუამებული, ჭუჭყიანი.

* * *

ისეთი ადამიანები, როგორც განსვენებული გარშინი იყო, მთელი სულითა და გულით მიყვარან და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, რომ საჯარო ხელმოწერით გამოვხატო ჩემი სიმპათია იმათ მიმართ.

* * *

ვ.გ. კოროლენკოზე:

...ჩემსა იყო კოროლენკო. სამი საათი ვილაქლაქეთ და აღმოვაჩინე, რომ ნიჭიერი და დიდებული კაცია... ჩემი შეხედულებისამებრ, მაგისგან ბევრ რასმე შეიძლება რომ მოველოდეთ.

* * *

კოროლენკომ ცოლს უნდა უღალატოს, აუცილებლად – რათა უკეთესად დაიწყოს წერა. არადა, მეტისმეტად კეთილშობილია. მინდა იმის რწმენის ქონა, რომ კოროლენკო გამარჯვებული გამოვა და იპოვის საყრდენ წერტილს. მაგის მხარეზეა ჯანმრთელობა, სიფხიზლე, შეხედულებათა სიმტკიცე და კანთიელი, კარგი ჭკუა, თუმცა არც წინასწარი შეგონებანია უცხო. არც მე დავნებდები ფორტუნას ცოცხალი თავით.

* * *

დ.ნ. მამინ-სიბირიაკზე:

მამინ-სიბირიაკი ძალზე სიმპათიური ყმაწვილი და ჩინებული მწერალია. მშვენიერი კარგი ნაწერები აქვს, ხალხი მაგის ყოვლის უფრო წარმატებულ ნაწარმოებებში აკი სულაც უარესად არ არის ასახული, ვიდრე „ბატონსა და მუშაკაცში“.*

* . *ჩეხოვის ცნობილი პორტრეტი, იოსებ ბრაზის ნამუშევარი.*

* *ლ. ტოლსტოის მოთხრობა.*

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265 (2018 წელი)
იხ. №1 (2019 წელი)

საუკეთესო დიეტა ამერიკულად

ამერიკელმა მედიკოსებმა და დიეტოლოგებმა 2019 წლისთვის საუკეთესო კვების რაციონი შეადგინეს. რეიტინგი ჟურნალ U.S. News & World Report-შია გამოქვეყნებული.

მათ 40-მდე სხვადასხვა სახის დიეტა გამოიკვლიეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საუკეთესო ე.წ. „ხმელთაშუა ზღვის დიეტაა“.

ეს დიეტა ხელს უწყობს სხეულის მასის კლებას და ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და დიაბეტის განვითარების რისკს. გარდა ამისა, ის შეიცავს ჯანმრთელობისთვის აუცილებელ თითქმის ყველა ელემენტს.

ხმელთაშუა ზღვის დიეტა

ხმელთაშუა ზღვის დიეტა არ არის რაიმე განსაზღვრული კვების სისტემა ან ინსტრუქცია. ის წარმოადგენს კვებითი ჩვევების და პრინციპების კრებულს, რომელსაც ტრადიციულად ხმელთაშუა ზღვის მაცხოვრებლები მისდევენ. დიეტა პოპულარული გახდა ე.წ. ფრანგული პარადოქსის გამო: მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობა საკმაოდ დიდი რაოდენობის ცხიმს იყენებს, მათ ჭარბი წონის პრობლემის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, მაღალი წნევის და დიაბეტით დაავადებების გაცილებით დაბალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნების, მაგ. აშშ-ის მაცხოვრებლებს.

ხმელთაშუა ზღვა 16-ზე მეტ ქვეყანას ესაზღვრება და მათი კვების ტრადიციები განსხვავდება ერთმანეთისგან კულტურული, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიხედვით, მაგრამ არის ბევრი დამახასიათებელი ნიშან-თვისება, რაც მათ აერთიანებს:

- **ბოსტნეულის, კარტოფილის, პარკოსნების, თხილეულის, მარცვლეულის, პურის და პურეული მარცვლოვნების დიდი რაოდენობა საკვებში.**
- **აქტიურად გამოიყენება ზეთისხილის ზეთი, რომელიც მოიხმარება როგორც შეწვის დროს, ისე სალელებლად.**
- **საკვებად ზომიერად გამოიყენება თევზეული და მცირე რაოდენობის ხორცი. მსუყე ხორცი (ღორის, ძროხის ან ცხვრის) მიიღება რეგულარულად, მაგრამ არაა აუცილებელი ყოველ კვირა.**
- **ძირითადად გამოიყენება დაბალი ცხიმიანობის იოგურტი და ყველი.**
- **საჭმელთან ერთად წითელი ღვინის ზომიერი მიღება.**
- **სეზონური ცოცხალი პროდუქციის მოხმარება — ხილი, ბოსტნეული და მწვანილი.**
- **ტკბილეული — ყოველდღე არა.**
- **ცხოვრების აქტიური წესი.**

რეგულარულად ჩატარებული კვლევების შედეგად შეეცადნენ, გამოეყოთ დიეტის შემადგენლობიდან ის, რაც საუკეთესო სამედიცინო ეფექტს იძლეოდა. ასეთი აღმოჩნდა ცხიმიანი თევზი, ზღვის პროდუქტები, ზეთისხლის ზეთი, წითელი ღვინო და სხვ. თუმცა მათგან არ მოხერხდა მხოლოდ ერთი ან ორი ცალკეული კომპონენტის გამოყოფა, რომელიც ამ დადებით ეფექტზე ახდენდა გავლენას.

იმისთვის, რომ ადვილად დაიმახსოვროთ პროდუქტები, რომლებსაც ხმელთაშუა ზღვის დიეტის დროს გამოიყენებენ, შედგენილი იქნა სპეციალური პირამიდა. ამ პირამიდის მიხედვით ჩანს, რა პროდუქტები და რამდენად ხშირად გამოიყენება:

ჩინეთის მისია მთვარეზე და კოსმოსში კონკურენციის ახალი დასაწყისი...

2019 წლის **პირველივე** **დღეებში** **კოსმოსის** **შესწავლის** **საქმეში** **ორი** **მნიშვნელოვანი** **მოვლენა** **მოხდა.** **1** **იანვარს,** **ახალი** **წლის** **დადგომიდან** **ნახევარ** **საათში,** **ნასას** **კოსმოსური** **ზონდი** **პირველად** **მიუახლოვდა** **დედამიწიდან** **ყველაზე** **შორს** **მდებარე** **კოსმოსურ** **ობიექტს,** **რომელიც** **ადამიანის** **ხელით** **შექმნილ** **აპარატს** **როდესმე** **შეუსწავლია.** **ზონდმა** **New Horisons** **(ახალი** **ჰორიზონტები)** **ჩაუფრინა** **ობიექტს** **სახელწოდებით** **2014 MU69 (Ultima Thule).**

3 იანვარს კი ჩინეთმა მთვარის ჯერ კიდევ შეუსწავლელ, მის შორეულ მხარეს კოსმოსური ზონდი წარმატებით დასვა. იმის მიუხედავად, რომ მთვარე დედამიწიდან მილიონი მილის მეოთხედ მანძილზე იმყოფება, მაშინ, როცა ნასას ზონდი დაახლოებით 4 მილიარდი მილით დაცილებულ ობიექტს სწავლობს, დღეს ყურადღებას ამ მეორე ფაქტზე გავამახვილებთ.

აი, რატომ: ჩინეთის კოსმოსური ზონდის მთვარის შორეულ მხარეზე დაჯდომა შესაძლოა, ამერიკისთვის საფუძველს უყრიდეს კოსმოსში ახალი, მაგრამ პოტენციურად ძლიერი კონკურენტის გამოჩენას. თუ ცივი ომის დროს კოსმოსის შესწავლას და ათვისებას ძირითადად ამერიკა-საბჭოთა კავშირის კონკურენცია ასტიმულირებდა, 21-ე საუკუნის დასაწყისში, ასპარეზზე ჩინეთი გამოდის და ის თავს ჯერჯერობით მყარად იმკვიდრებს.

დავიწყოთ **იმით,** **რომ** **მედიაში** **ფართოდ** **გამოყენებული** **„მთვარის** **ბნელი** **მხარე“** **სწორი** **არ** **არის,** **თუმცა** **ირონიით** **თუ** **ვიხმართ,** **მაშინ** **დასაშვები** **იქნება.** **ეს** **ცნობილი** **ბრიტანული** **როკ-ჯგუფის** **„პინკ** **ფლოიდის“** **რიგით** **მერვე** **ალბომის** **სახელწოდებაა** **და** **მთვარის** **ფიზიკურ** **რეალობასთან** **საერთო** **არაფერი** **აქვს.**

სამეცნიერო **უზუსტობაა** **იმის** **თქმა,** **რომ** **ჩინეთმა** **ზონდი** **მთვარის** **ბნელ** **მხარეს** **დასვა,** **რადგან** **მთვარის** **ეს** **ნაწილი** **ბნელი** **არ** **არის,** **ის** **მზის** **სინათლესაც** **იღებს.** **უბრალოდ,** **ეს** **არის** **მთვარის** **შორეული** **მხარე,** **რომელსაც** **დედამიწიდან** **ვერ** **ვხედავთ** **და** **რომელიც** **ადამიანის** **მიერ** **ნაკლებად** **არის** **შესწავლილი.** **მთვარე** **საკუთარი** **ღერძის** **ირგვლივ** **შემობრუნებას** **დაახლოებით** **იმდენივე** **დროს** **ანდომებს,** **რამდენსაც** **დედამიწა.** **ამის** **გამო,** **ჩვენ** **მთვარის** **მხოლოდ** **ერთ** **ნახევარს** **ვხედავთ,** **რომელსაც** **მის** **ახლო** **მხარეს** **ვეძახით.**

მთვარის **შორეული** **მხრიდან** **რადიოსიგნალებით** **ინფორმაციის** **მიღება** **და** **გაგზავნაც** **ძნელია,** **რადგან** **ჩვენს** **და** **ამ** **მხარეს** **შორის** **მთვარის** **მთელი** **სხეულია.** **ამიტომ,** **ჩინეთმა** **კოსმოსური** **ხომალდით** **ზონდის** **გაშვებამდე,** **თანამგზავრის** **ამ** **ნაწილისკენ** **ჯერ** **სატელიტი** **გაუშვა.** **სატელიტი** **სახელად** **„კუეკაო“** **მთვარის** **შეუსწავლელი** **ნაწილისკენ** **2018** **წლის** **მაისში** **გაემართა.** **ის** **თანამგზავრის** **ორბიტაზე** **დაახლოებით** **სამ** **კვირაში** **შევიდა.**



იმის მიუხედავად, რომ მთვარეზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ათეულობით ზონდი დასვა და 6-ჯერ ადამიანთა ეკიპაჟებიც დასხა, მთვარის შორეულ მხარეს ადამიანს ფეხი ჯერ არ დაუდგამს. მთვარის ახლო მხარეს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, კოსმოსური ზონდი დასვა მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა, შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოგვიანებით კი ჩინეთმა, იაპონიამ და ინდოეთმა.

მისია „ჩანგ-4“ მთვარეზე ხუთშაბათს, 3 იანვარს, პეკინის დროით დილის 10:26-ზე დაეშვა. ჩინეთი მისიას ეტაპობრივად ახორციელებს და 2030 წლამდე მთვარეზე ადამიანთა ეკიპაჟის დასმასაც გეგმავს. პირველი ფოტოები, რომელიც ჩინურმა როვერმა დედამიწაზე გამოაგზავნა, აჩვენებს, რომ მთვარის ეს ნაწილიც საკმაოდ განათებულია.

ფოტოების **მიხედვით,** **დედამიწის** **თანამგზავრის** **ამ** **მხარეში** **ზედაპირი** **ქვიშასავით** **ფხვიერია.** **მეცნიერები** **დიდი** **აღფრთოვანებით** **ელიან** **მომდევნო** **ფოტოებს.** **ისინი** **ფიქრობენ,** **რომ** **იქაური** **ქვები** **სულ** **ცოტა,** **4** **მილიარდი** **წლის** **სიძველისაა** **და** **შესაძლოა,** **მზის** **სისტემის** **ადრეული** **პერიოდის** **ბევრ** **საიდუმლოს** **იტევდეს.**

ნასამ **მთვარის** **ეს** **მხარე** **კოსმოსიდან** **ფოტოებზე** **ადრეც** **აღბეჭდა,** **მათ** **შორის** **ყველაზე** **გახმაურებული** **ფოტოები** **საჯაროდ** **2011** **წელს** **გამოქვეყნდა.** **თუმცა,** **ასე** **ახლოდან** **გადაღების** **საშუალება** **ადრე** **არავის** **ჰქონია.** **ამას** **გარდა,** **ჩინეთი** **აცხადებს,** **რომ** **როვერმა** **მთვარეზე** **წაიღო** **აბრეშუმის** **ჭიის** **კვერცხები,** **კარტოფილის** **და** **მდოგვის** **თესლები.** **მათ** **აინტერესებთ** **გამოსცადონ** **და** **დააკვირდნენ,** **თუ** **როგორ** **გაიზრდებიან** **ისინი** **სუსტი** **მიზიდულობის** **ძალის** **პირობებში.**

მთვარეზე გაფრენის გეგმები აქვთ არამარტო სახელმწიფოებს, არამედ ამერიკულ კერძო კომპანიებსაც. მოწინავეთა შორის არიან „ვირჯინ გალაქტიკი“ და „სპეის-ექსი“. ამ უკანასკნელმა წელს კოსმოსში 19 გაფრენა განახორციელა, მას მიჰქონდა სასიცოცხლოდ აუცილებული ტვირთი საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე და 2018 წლის ბოლოს ერთ-ერთი კოსმოსური ხომალდი ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნითაც გაუშვა.

მთვარეზე ისევ გეგმავს გაფრენას ნასაც, შეერთებული შტატების აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სააგენტო. ნასა აცხადებს, რომ მარსისკენ გზა მთვარეზე გაჩერებასაც მოიცავს, სადაც სააგენტომ შესაძლოა, მიკრო კოსმოსური სადგურიც კი ააშენოს. ამ ეტაპზე სადგურის პროექტს „ღრმა კოსმოსის კარიბჭე“ ჰქვია.

სადგურის მთვარეზე აგების კონცეფცია უკვე 5 წელია არსებობს, მაგრამ ახლა ეს გეგმები რეალური გახდა. დაახლოებით ერთი თვის წინ, 11 დეკემბერს, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო ძალის მქონე დირექტივას, რომელიც ნასას მარსისკენ მარშრუტში მთვარესაც რთავს.

„ეს **მნიშვნელოვანი** **ნაბიჯია,** **რომელიც** **1972** **წლიდან** **პირველად,** **ამერიკელი** **ასტრონავტების** **მთვარეზე** **დაბრუნებისკენ** **არის** **გადადგმული,** **გრძელვადიანი** **შესწავლის** **და** **გამოყენებისთვის.** **ამჯერად** **ჩვენ** **(მთვარეზე)** **არამარტო** **დროშას** **ჩავარჭობთ** **და** **ჩვენს** **ნაკვალევს** **დავტოვებთ,** **არამედ** **საძირკველს** **ჩავუყრით** **მისიას** **მარსზე** **და** **შესაძლოა,** **როდესმე** **მის** **მიღმაც,** **ბევრი** **სხვა** **სამყაროსკენ“,** — თქვა პრეზიდენტმა ტრამპმა დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ტრამპმა აღადგინა კოსმოსის ეროვნული სათათბირო (NSC), რომელიც ამერიკის პრეზიდენტს მიაწვდის რეკომენდაციებს კოსმოსის შესწავლის და ათვისების პოლიტიკასთან დაკავშირებით. მასში შედიან ნასას ასტრონავტები, რომელთა შორის „აპოლოს“ მისიების მონაწილეები, მთვარეზე ნამყოფი ასტრონავტებიც არიან.

გასულ წელს პრეზიდენტმა ტრამპმა პენტაგონს კოსმოსის შეიარაღებული ძალების შექმნის მითითებაც მისცა. კოსმოსში განლაგებული რესურსების დასაცავად, შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტი კოსმოსური სარდლობის სტრუქტურას უკვე აყალიბებს.

კონგრესში **დამტკიცების** **შემთხვევაში,** **ამერიკას** **სამხედრო** **ძალების** **მეექვსე** **სახეობა** — **კოსმოსური** **ძალები** **ეყოლება,** **რომელიც** **რუსეთიდან** **და** **ჩინეთიდან** **მომავალი** **საფრთხეების** **განეიტრალებაზე** **იმუშავებს.** **ვიცე-პრეზიდენტმა** **მაიკ** **პენსმა** **2018** **წლის** **აგვისტოში,** **პენტაგონში** **გამოსვლისას** **აღნიშნა,** **რომ** **მეტოქე** **ქვეყნებმა** **„კოსმოსი** **ახალ** **საომარ** **სივრცედ** **აქციეს** **და** **შეერთებული** **შტატები** **ამ** **გამოწვევას** **არ** **გაექცევა“.**

მაია ქვარცხავა

რამდენი ქვეყანაცაა, იმდენი გემოვნებაა!

როგორც ცნობილია, 2019 წელი ჩინური მთვარის კალენდრით ყვითელი ტახის წელი იქნება, რომელიც გრიგორიანული კალენდრით 5 თებერვალს დადგება. სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო მენიუს გაცნობა მით უმეტეს საინტერესოა, ვინაიდან სხვადასხვა ერის დიასახლისები საახალწლოდ ხშირად ჩვენთვის მეტად ეგზოტიკურ კერძებს, ამზადებენ, რომელთა შესახებ გვინდა გიამბოთ.

როგორც აღვნიშნეთ, **ჩინეთში,** ასევე აზიის სხვა ქვეყნებში, ახალ წელს მთვარის კალენდრით აღნიშნავენ; ამდენად, იქ ეს დღესასწაული უკვე ზამთრის მიწურულზე ან, სულაც, გაზაფხულზე მოდის, თუმცა კი ბოლო წლებში მის „ევროპულ ვერსიასაც“ ზეიმობენ. ასევე იქცევიან იაპონელებიც, ამიტომ, აქაურ საახალწლო სუფრებზე ორივე შემთხვევაში ნახავთ წიწიბურის ატრიას, რომელსაც სობა ეწოდება. მას ნაირ-ნაირი სანელებლებით კმაზავენ, რომლებიც ხანგრძლივ სიცოცხლეს ასახიერებენ, ამიტომაც ცდილობენ, რაც შეიძლება გრძელი გამოუვიდეთ.

იაპონიაში ასევე იციან ტრადიციული საახალწლო დესერტის – ბრინჯის ღვეზელების მომზადება, რომლებსაც მოტი ეწოდება. ესაა უბრალოდ ბურთად შეკრული ბრინჯი, ყოველგვარი მოსართავის გარეშე, მაგრამ, ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთა რწმენით, მათი დამგემოვნებლისთვის სიმდიდრისა და წარმატების მომტანი.

თავად **ჩინეთში** კი საახალწლოდ მიღებულია ისეთი საკვების მომზადება, რომელთა დასახელების დამწერლობა ან ჟღერადობა სიტყვებს „ბარაქას“, „იღბალს“, „სიმდიდრეს“, „ჯანმრთელობასა“ და ა.შ. წააგავს. ითვლება, რომ ასეთი დამთხვევა შემთხვევითი არ არის და სწორედ ასეთ კერძებს მოაქვთ მომლხენი ადამიანებისთვის ის სიკეთეები, რომლებსაც „პირდებიან“. მაგალითად, სიტყვა „თევზი“ ჩინურად თითქმის ისევე ჟღერს, როგორც სიტყვები „სიუხვე“ და „სურვილი“.

ინდოეთში დღესასწაულებისთვის, ისევე, როგორც ჩვეულებრივ დღეებში, ბრინჯის უძრავ კერძს ამზადებენ, რომლებსაც ასევე ნაირ-ნაირ სანელებელს, საკმაზსა და საწებლებს უმატებენ. მაგრამ საახალწლოდ ინდოელებს მაინც აქვთ მეტად უჩვეულო ცივი წვნიანის, რუსული „ოკროშკის“ მსგავსი კერძი, რომელსაც მაწვნით ამზადებენ. მას „რაიტა“ ეწოდება და სხვადასხვა ახალი ბოსტნეულით მზადდება.

სადღესასწაულო წვნიანი იციან **ვიეტნამშიც**. ესაა მოსამზადებლად მეტად რთული კერძი, რომლის კეთებას ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებენ. თავდაპირველად ამწნილებენ და დასარბილებლად ხარშავენ ბამბუკის ყლორტებს, შემდეგ მათ კიდევ ბრაწავენ, რის შემდეგ ღორის ჩლიქებთან ერთად მიირთმევენ, რომლებსაც სპეციალურ სანელებლებსა და განსაკუთრებულად მომზადებულ თევზის საწებელს ამატებენ. მერე ყველაფერ ამას კიდევ ერთხელ ხარშავენ, ხის სოკოს ამატებენ და სუფრაზე მიტანამდე ზედ მწვანე ხახვსაც აჭრიან.

ვიეტნამურ საახალწლო სუფრაზე სტუმრებს ჩაროზად ცუკატებით უმასპინძლდებიან და ამ ნუგბარს მსოფლიოში ყველაზე ნაირსახა შეიძლება ვუწოდოთ. ცუკატების იმდენივე ნაირსახეობა არსებობს, რამდენიც ხილია და თითოეულ მათგანს ისე შაქრავენ, რომ გემო და არომატი შეუნარჩუნდეს.

ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ დედამიწაზე ისეთი ქვეყნებიცაა, სადაც საგანგებო საახალწლო ანდა რომელიმე სხვა დღესასწაულისადმი განკუთვნილი კერძები არა აქვთ. ერთ-ერთი მათგანია **ტაილანდი**. რაიმე განსაკუთრებული კერძი ტაიელებს იმიტომ არ უნდათ, რომ ახალი წელი ისედაც დიდად განსხვავდება სხვა დღეებისგან. მას, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე აღნიშნავენ სამი დღის განმავლობაში, რა დროსაც ადგილობრივები ერთმანეთსაც და ჩასულ ტურისტებსაც ერთიანად წყლით წუწავენ, ანდა ხელისკვრით აუზებში აგდებენ. მაგრამ საღამოობით იქ მაინც აწყობენ სადღესასწაულო სუფრებს, თუმცა კი საკვები ყოველდღიურისგან არაფრით განსხვავდება – ესაა ბრინჯი და ზღვის პროდუქტები. განსხვავება კი მხოლოდ დესერტების სიუხვეშია, რომელთაგან მხოლოდ ერთს თუ ვუწოდებთ „საახალწლოს“.

ყველაზე „ტკბილი“ საახალწლო სუფრის გაშლა **ისრაელში** იციან. იუდეველთა ახალი წელი შემოდგომაზე აღინიშნება და ამ დროს მიღებული არ არის სუფრაზე მარილიანი, მჟავე ან მით უმეტეს, ცხარე კერძების მიტანა – ნებადართულია მხოლოდ ტკბილეული, რათა ყველა წარსული უსიამოვნება დავიწყებას მიეცეს და მომდევნო წელიც „დატკბეს“. ნუგბარი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: თაფლი, რომელშიც ხალვის ნაჭრებს აწყობენ, ფინიკი, ლეღვი და სხვა ეგზოტიკური ხილი, შემწვარი ვაშლი, ტორტები და სხვადასხვა ნამცხვრები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, მექსიკაში, ასევე ევროპისა და **კავკასიის ძვეყნების უმრავლესობაში** ზამთრის დღესასწაულების აღნიშვნა 25 დეკემბერს, საშობაო ზეიმით იწყება და 1 იანვრის დადგომამდე და მერეც გრძელდება.

ამერიკელების, კანადელების, ინგლისელებისა და **ფრანგების** საახალწლო სუფრებზე ტრადიციული კერძია შემწვარი ინდაური, რომლის მომზადების რეცეპტები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ყველაზე ორიგინალურად **ამერიკული** რეცეპტი ითვლება. მას არა მარტო წვავენ, არამედ შიგნიდან ნებისმიერი სახის სხვადასხვა პროდუქტებით ტენიან. ეს შეიძლება იყოს პურიც, ყველიც, ვაშლიც, შავქლიავაც, კომბოსტოც, სოკოც...

წლის მიწურულს **ბრიტანელები** ძველ პურს იცილებენ, რომლის ნამცეცებისგან ტრადიციულ საალდგომო პლუმ-პუდინგს ამზადებენ. ძველი პურის ნამცეცების გარდა მას უმატებენ ქიშმიშს, შავ ქლიავს, ნუშს ან ნიგოზს თუ თხილს, ცუკატებს, სხვადასხვა ხილის ჩირს, ლიმონის ან ფორთოხლის ქერქის ნაჭრებს, ასევე სხვადასხვა სანელებლებს. სუფრაზე მიტანამდე კი პუდინგს რომს ან ლიქიორს ასხამენ, მერე ცეცხლს უკიდებენ და ასე შეაქვთ ოთახშიც.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში კი – **ავსტრიასა** და **უნგრეთში,** საახალწლო სუფრაზე ინდაური, ისევე, როგორც სხვა ფრინველი – ქათამი, იხვი და ა.შ. – არავითარ შემთხვევაში არ იქნება, ვინაიდან ეს ცუდ ნიშნად ითვლება: თუკი სუფრაზე ფრინველი იქნება, ოჯახიდან ბედნიერება გაფრინდება. ამიტომაც, მთავარ კერძად იქ საქვეყნოდ ცნობილი ღორის ვენური შნიცელები, ჩაროზად კი არანაკლებ ცნობილი ტკბილი ნუგბარი – შტრუდელი აქვთ.

არის კერძი, რომელსაც **იტალიაში** წელიწადში ერთხელ, მხოლოდ 31 დეკემბერს ამზადებენ: ესაა ძეხვი კოტეკინო, რომელსაც ღორის სუკისგან ამზადებენ და უხვად კმაზავენ სხვადასხვა სანელებლებით.

პოლონეთში კი საახალწლო სუფრაზე ხორციან საჭმელს საერთოდ ვერ ნახავთ, რადგან ეს წარუმატებლობის ნიშნად ითვლება. ამ დღეს ხორცის მაგივრობას თევზეული სწევს. იქაურ სადღესასწაულო სუფრაზე ასევე დიდად პოპულარულია სოკოს წვნიანი, ხილის ჩირიანი ფაფა. თანაც სუფრაზე აუცილებლად თორმეტი კერძი უნდა იყოს.

თევზი აუცილებლად უნდა იყოს **ფინურ** საახალწლო სუფრაზეც, ოღონდ დამარილებული. იგივეს თქმა შეიძლება **შვედეთსა** და **ნორვეგიაზე, გერმანიაში** კი სადღესასწაულო სუფრაზე მხოლოდ ტრადიციული ძეხვები, კარტოფილის სალათა და სხვადასხვანაირი ბუტერბროდები გამოაქვთ, სამაგიეროდ, როცა საქმე დესერტზე მიდგება, აქ პირის ჩასაკოკლოზინებლად აუარება რამეა – ათასნაირი ტორტი, კექსი, სხვადასხვა ორცხობილა და ა.შ.

დანიაში ნაირ-ნაირ თევზეულთან და ხორცის კერძთან ერთად აუცილებელია ვანილიანი ცივი ბრინჯის ფაფა, რომელსაც დანაყილ ნუშს აყრიან და ალუბლის მურაბას ასხამენ. თანაც, გულში ერთ მთლიან ნუშს დებენ და ვისაც ის შეხვდება, იმას ცალკე ასაჩუქრებენ.

ასეთივე სიურპრიზიან ნამცხვარს აცხობენ ამ დროს **ბულგარეთშიც** – ბრინზიან ფენოვან ნამცხვარში – ბანიცაში – შავ ფოლგაში გახვეულ რამდენიმე ფურცელს დებენ, რომლებზეც საახალწლო სურვილებია დაწერილი.

პორტუგალიაში საახალწლო თუ საშობაო სუფრა წარმოუდგენელია ყურძნის გარეშე. ადგილობრივი ტრადიცია მოითხოვს, რომ თორმეტი საათის ჩამოკვრასთან ერთად კაცმა თითო დარტყმაზე თითო მარცვალი შეჭამოს და ერთი სურვილი ჩაიფიქროს.

დედამიწის მეორე მხარეს – **ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდონეზიაში, სამხრეთ აფრიკასა** და ზოგადად, სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში, ჩვენებური ახალი წელი ზაფხულზე მოდის, ამიტომაც იქაური საახალწლო სუფრები უმეტესწილად ხილით, მსუბუქი მისაყოლებლებით და ნაირ-ნაირი გამაგრილებელი კერძებითაა სავსე. თუმცა ისიცაა, რომ ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში პოპულარულია ასევე ინგლისისთვის ტრადიციული ინდაური.

რაც შეეხება **საქართველოს,** ჩვენებური საცივის, გოზინაყისა და სხვათა ამბების მოყოლას აღარ შევუდგებით, თქვენს ყურადღებას კი, პატივცემულო მკითხველო, მხოლოდ ერთ კერძზე გადავიტანთ, რომელიც დიდი ხანია, საახალწლო-საშობაო, ზოგადადაც, ნებისმიერი სადღესასწაულო სუფრის ძალიან ხშირი „მონაწილეა“. ესაა სალათა „ოლივიე“, რომელსაც ერთობ საინტერესო და გარკვეულწილად იდუმალი ისტორია აქვს. ბევრმა იცის, რომ ეს სახელი ამ კერძს ფრანგი მზარეულის **ლუსიენ ოლივიეს** პატივსაცემად დაერქვა, რომელმაც ის მოიგონა.

მოკლედ, რამდენი ქვეყანაცაა დედამიწაზე, იმდენი საახალწლო სუფრის მენიუა, მთავარი პრინციპი კი გემრიელობაა.

ამდენად, ყველა კერძი შეგერგოთ და ბედნიერ ახალ თუ ძველ ახალ წელს გისურვებთ!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

დიდთოვლობა საქართველოში

ზვავსაშიშროების გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ173-კმ186 (კალა-უშგული) მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

თოვლისა და ლიპყინულის გამო, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კმ70-კმ173 (ხაიში-კალა) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კმ30-კმ90 (ჯვარი-დიზი) მონაკვეთზე თავისუფალია. ხოლო, კმ90-კმ173 (დიზი-კალა) მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

* * *

საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ფასანაური-გუდაურის(ფოსტა) მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ინტენსიური თოვის გამო, შენარჩუნებულია ზვავსაშიშროების რეჟიმი, რის გამოც აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

* * *

რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარი, ნამქერები, შეზღუდული ხილვადობა) გამო, საერთაშორისო მნიშვნელობის ახალქალაქი-კარწახის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ1-კმ36.5 მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

◎ ლეგიონერი

ვინ შეაჩერებს ბითაძეს?

ევროლიგის მონაწილე კლუბებს დატვირთული კვირა ელით, რადგანაც მოკლე პერიოდში ორ-ორი მატჩის ჩატარება მოუწევთ. საქმეში იქნება ჩართული გოგა ბითაძეც, რომლის „ბუდუჩნოსტიც“ ჯერ თელ-ავივში „მაკაბის“ ეთამაშება, ხოლო შემდეგ მონტენეგროში სტამბოლის „დარუშაფაკას“ დაუხვდება.

მომავალ ბატალიებს ევროლიგის ოფიციალური ვებ-გვერდიც გამოეხმაურა და სასიხარულოა, რომ ერთ-ერთი ქვეთავი სრულად 19 წლის ქართველ ტალანტს მიუძღვნა. „შეუძლია თუ არა ვინმეს ამომავალ ვარსკვლავ ბითაძის შეჩერება?“ — ასე ჰქვია მონაკვეთს, რომლის გაცნობაც ქართველი ქომაგისთვის უდავოდ საინტერესო იქნება.

„ძნელი გასახსენებელია, როდის ჰქონდა ვინმეს ისეთი დებიუტი ევროლიგაში, როგორიც გოგა ბითაძეს. „ბუდუჩნოსტის“ ახალწვეულმა „ბაიერნთან“ სადებიუტო შეხვედრაში 17 ქულა, 7 მოხსნა და 4 დაფარება მიითვალა, „მილანთან“ მატჩში კი კიდევ უფრო უკეთესი იყო: 23 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 3 ბლოკ-შოტი.ბითაძის სტატისტიკა უფრო შთამბეჭდავია იმის გათვალისწინებით, რომ ის მხოლოდ 19 წლისაა და თანაც სერბული „მეგა ბემაქსიდან“ პოდგორიცულ გუნდში გადაბარგების მერე აკლიმატიზაციის პერიოდს სწორედ ახლა გადის.

ცხადია, რომ ევროპელი (და არა მხოლოდ) სკაუტები დადარაჯებულნი იქნებიან, რათა ახალგაზრდა ვარსკვლავს თვალი მიადევნონ: შეძლებს თუ არა ქართველი კალათბურთელი სეზონის დარჩენილი ნაწილიც იმ დონეზე ჩაატაროს, როგორც ეს საწყის თამაშებში იყო.

მიმდინარე კვირაში ბითაძეზე დაკვირვების საშუალება 2-ჯერ გვექნება, როდესაც „ბუდუჩნოსტი“ ისრაელის საუკეთესო გუნდ „მაკაბის“ ესტუმრება, შემდეგ კი თურქულ „დარუშაფაკას“ უმასპინძლებს“.

ერთი საინტერესო დეტალიც: როგორც უკვე ვიუწყებოდით, ევროლიგის ყოველი ტურის წინ ოფიციალურ საიტზე ვირტუალური შემადგენლობა ქვეყნდება **EuroLeague Fantasy Challenge**-სთვის. მასში გოგა პირველად გასული ტურის წინ გამოჩნდა, ამჯერად კი სიაში საერთოდაც პირველ ნომრად ფიგურირებს.

„ბითაძე თქვენს შემადგენლობაში დასაყენებლად საუკეთესო ვარიანტია. „ბუდუჩნოსტმა“ ქართველ ცენტრს თავიდანვე დიდი ნდობა გამოუცხადა, მას სოლიდურ სათამაშო დროს უთმობს და გოგა ავანსებს სრულად ამართლებს. ამჟამად მისი საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 20.0 ქულა, 7.5 მოხსნა, სარგებლიანობის ინდექსი 26.5. აიყვანეთ ბითაძე გუნდში, სანამ მისი ფასი კიდევ უფრო არ გაზრდილა“, — ვკითხულობთ ევროლიგის ვებ-გვერდზე.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

იმედი ბოლოს კვდება

თბილისის „ლოკომოტივმა“ სადღესასწაულო დღეები ვარჯიშში გაატარა, რადგან გუნდი 2019 წლის პირველი მატჩისთვის ემზადება, რომელსაც კონტინენტის ფარზე 12 იანვარს იტალიურ კლუბ „ფიამე ოროსთან“ გამართავს.

საქართველოს ჩემპიონისთვის საშეიმოდგომო სეზონი ყველაზე მეტად გაიწელა და ყველაზე გვიან დასრულდა, რადგან ოქტომბერში ევროთასებზე სადებიუტო მატჩი ჰქონდა „კალვიზანოსთან“ (6:17), დეკემბერში კი იტალიურ ტურნეზე გაემგზავრა და ჯერ რომში „ფიამე ოროს“ სძლია ბონუსით (29:22), ხოლო მერე „კალვიზანოსთან“ აიღო რევანში (20:13).

„აპენინური ტურნე დადებითად შეფასდა და სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან ადვილი არაა იტალიაში ჩახვიდე და ზედიზედ ორი თამაში მოიგო. რომ არა „კალვიზანოსთან“ ბოლო წუთზე გაშვებული სამწუხარო ლელო, საგამოვიყენეთ და სასურველი შედეგი დავაფიქსირეთ. ეს იყო პასუხისმგებლობის შედეგი, რადგან ვიცოდით, რომ წაგების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვექნებოდა“ — აღნიშნავს კავთიძე და იმავე „ფიამე ოროსთან“ უფრო რთული მატჩის მოლოდინშია:

„მეტოქისგან დიდ წინააღმდეგობას ველოდებით, რადგან ჩვენთან გამარჯვების შემთხვევაში მათაც უჩნდებათ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი. დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი ბრძოლა დაგვჭირდება, ვიდრე 1 თვის წინათ“.

კაპიტანმა რომში ნეკნი გაიტეხა, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ თბილისში დაბრუნებულმა გაიგო და მანამდე „კალვიზანოს“ წინააღმდეგ ითამაშა. ის უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და გუნდს მომავალ მატჩშიც დაეხმარება. მოკეთდა და სათამაშოდ 90%-ით მზადაა დიდი 10-ის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ასევე მელელოვე გიორგი შკინინი.

„ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებში ვართ, კარგად დავისვენეთ და ვარჯიშებიც მაღალი ინტენსივობის გვაქვს. ჩვენი მიზანი გამარჯვებაა, თუნდაც ლელოების გარეშე, რადგან ბონუსი რეალურად არაფერს გვაძლევს. მთავარია მოვიგოთ და მერე ჩვენზე არაფერია დამოკიდებული. მიუხედავად ყველაფრისა, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და იმედი გვაქვს, რომ იტალიელები სარაგბო ღირებულებებს არ დაარღვევენ. „ფიამე ოროს“ აქვს იმის შესაძლებლობა, თუ მოინდომებს, რომში „კალვიზანო“ დაამარცხოს. ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ და 19 იანვარს დაველოდებით“ — ამბობს კავთიძე.

საქმე ისაა, რომ „კალვიზანოსგან“ ბოლო წუთზე მიღებული ლელოს შემდეგ ეს იტალიური კლუბი 10 ქულით პირველ ადგილზე რჩება და 19 იანვარს „ფიამე ოროს“ ეთამაშება, რომელიც თბილისში მარცხის შემთხვევაში უმოტივაციო იქნება. ამრიგად, „ლოკომოტივმა“ თავისი შეხვედრა უნდა მოიგოს და ერთი კვირა სამართლიანი თამაშის მოლოდინში იყოს, რათა ჩელენჯ ქაფის საგზურისთვის ბრძოლა გააგრძელოს.

ვარაუდოდ, ჩელენჯ ქაფზეც აუცილებლად მოვხვდებოდით, მაგრამ არ გაგვიმართლა“, — ამბობს გუნდის კაპიტანი **ვახტანგ კავთიძე**.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ „ლოკომოტივს“ „ფიამე ოროსთან“ ბედმა გაულიმა და დასკვნით 12 წუთში გატანილი სამი ლელოთი ბონუსით იმარჯვა. მანამდე იყო ჩავარდნა და 12-ქულიანი ჩამორჩენა:

„იტალიაში ჩასვლამდე დიდი გზა გავარეთ, აღდგენისა და ვარჯიშისთვის ერთი სრული დღეც არ გვქონდა, პირდაპირ თამაშზე გავედით და შესვენების შემდეგ გაგვიჭირდა. მიუხედავად ამისა, იმედი არ დაგვიკარგავს, ბოლომდე ვიბრძოლეთ, საბედნიეროდ, მომენტები 100 პროცენტით

კავთიძე იმედოვნებს, რომ 12 იანვარს საქართველოს ჩემპიონს ქომაგობა არ მოაკლდება და ეს გუნდს გამარჯვებაში დაეხმარება:

„პირველ თამაშზე გულშემატკივარი არ მოვიდა და გულდაწყვეტილები ვიყავით. ახლა თამაშზე დასწრება თავისუფალია. საინტერესოა, როდესაც სავსე ტრიბუნების წინაშე თამაშობ, მით უმეტეს იტალიური კლუბის წინააღმდეგ და ყველას მოვუწოდებ მხარი დაგვიჭიროს. ეს ტურნირი ქართული კლუბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“.

კობა კობახიძე

◎ ტრადიცია

სამედიცინოს ექსკლუზივი

როცა ქართული ფეხბურთის სასახელო ტრადიციებზე ვსაუბრობთ, სათანადო პატივს მივაგებთ ტალანტების სამჭედლოს — ქუთაისის „ტორპედოს“, სადაც კონვეიერული სისტემით ხდებოდა ყველაზე პოპულარული სახეობის ვარსკვლავთა დაფრთიანება.

ავტოქარხნელთა გამორჩეული თაობის ღირსეულ წარმომადგენელთა — ჯემალ ხერხაძისა და იური ჩხაიძის დამსახურებები კიდევ ერთხელ უკვდავყვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრისა

(დირექტორი — **ზაურ ფხალაძე**, მთავარი მსაჯი — თსსუ-ს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე**) და ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის უცხოენოვანი ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის (ხელმძღვანელი — მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტი **რაჯი ბაისქარაანი**) ორგანიზებით გამართული ტურნირის მონაწილეებმა.

მთავარი პრიზისთვის ბრძოლა თექვსმეტმა გუნდმა დაიწყო, გადამწყვეტი შეხვედრები კი ასე დასრულდა:

ნახევარფინალები ბოგრანა-ქლქამიშ (ერაყი) 5:3, პოტინკი (ერაყი) — ბინვარმრს (ინდოეთი) 4:2.

ფინალი — ბოგრანა (კაპიტანი უცხოენოვანი სტომატოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი **ნიკა სურამლიშვილი**) — პოტინკი 3:2.

ჩემპიონისა და პრიზიორთა გარდა, შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა პირველი კურსის ნაკრებ გუნდ იორნანიის აქტიურმა თამაშმა.

დავძენთ, რომ სპეციალური პრიზების მფლობელნი გახდნენ: **საუკეთესო მეკარე** — ლევან გობეჯიშვილი (ჯანდაცვის მენეჯმენტის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი); **ბომბარდირი** — ალი ალზბადი (უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, „ერაყის“ უცხოენოვანი სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის მიმართულების ხელმძღვანელი, 12 გოლი); **ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი** — ლაშა ოსეფაშვილი (მედიცინის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, თსსუ-ს ნაკრები გუნდის კაპიტანი).

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ბრაზილია აღაფრთოვანა

ძნელია იპოვოთ სხვა ქვეყანა, რომელიც ბრაზილიას ლამაზმანმრავლობით გვერდში დაუდგება. სწორედ ამიტომაც, თითქმის მუდმივად, იქაურ სამოდელო სამყაროში ახალახალი, ისეთი თვალისმომჭრელი ეშხიანობის გოგონები გამოჩნდებიან ხოლმე, რომ მათი ნახვაც კი ერთ რამედ ღირს.

ამჯერად წარმოგიდგენთ 24 წლის მოყვარულ პლაჟის ფრენბურთელ დაიანა სოდრეს, რომელიც მრავლისმნახველმა ბრაზილიის ბულვარულმა მედიამ არც მეტი, არც ნაკლები, გასული წლის ყველაზე სექსუალურ და ვნებისაღმძვრელ ასულად დაასახელა.

დაიანა სოდრე თავის პროფესიულ მომავალს დიდი იმედით უყურებს და სწორედ ამის გამო მისკენ დაძრულ სისხლაჩქროლებულ მოცლილ მამრებს ცივი უარით ისტუმრებს. ეს უკარებობა ჟიგოლოებს კიდევ უფრო მეტად ახელებს და რთული სათქმელია, სადამდე გაგრძელდება მზეთუნახავობანას თამაში. არადა, კაცი ბრმა უნდა იყო, დაიანას სიტურფით პირველივე დანახვისთანავე რომ არ აღფრთოვანდე...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ხელბურთი

საქართველო – ევროპის საკვალიფიკაციოზე

გუშინ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები მალტას გაემგზავრა, სადაც 11-13 იანვარს ევრო 2022-ის პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში მასპინძლებს, აზერბაიჯანსა და კვიპროსს დაუპირისპირდება. მეორე ეტაპზე, ანუ პლეი ოფში ჯგუფის გამარჯვებული გადის.

B ჯგუფი. მალტა. კვიპროსი, საქართველო, აზერბაიჯანი. მალტა, კოსპიკვა, კოტონერას სასპორტო კომპლექსი.

11 იანვარი. კვიპროსი – აზერბაიჯანი, საქართველო – მალტა.

12 იანვარი. აზერბაიჯანი – საქართველო, მალტა – კვიპროსი.

13 იანვარი. კვიპროსი – საქართველო, აზერბაიჯანი – მალტა.

ჯორჯე რაშიჩი

A ჯგუფში (ლუქსემბურგში) პლეი-ოფის საგზურისთვის ლუქსემბურგი, ბრიტანეთი, ირლანდია და ბულგარეთი იბრძოლებენ.

ბოლო ვარჯიშის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სერბმა **ჯორჯე რაშიჩმა** ნაკრების 16-კაციანი შემადგენლობა დაასახელა:

შოთა თევზაძე (1981, 200 სმ, „ფოჩანი“, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე (1989, 190, ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“); ზურაბ აბრამიშვილი (1994, 193, ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“), ჯემალ იმნაძე (2001, 184, ქუთაისი); ლექსო წითელიშვილი (1992, 194, „სტრუგა“, მაკედონია), თეიმურაზ ორჯონიკიძე (1996, 198, „ფერენცვაროში“, უნგრეთი), სერგო დათუკაშვილი (1978, 198, უგუნდო); ირაკლი ჩიქოვანი (1989, 198, „კონსტანცა“, რუმინეთი), ირაკლი კბილაშვილი (1998, 189, „ოდესა“, უკრაინა); გიორგი ცხოვრებაძე (2001, 193, „მონპელიე“, საფრანგეთი), რატი მსხვილიძე (1986, 207, უგუნდო), გიორგი დიხამინჯია (1997, 190, „სტრუგა“, მაკედონია), რევაზ ჭანტურია (1982, 178, „პელისტერი“, მაკედონია), ირაკლი გოგოლაძე (1996, 177, ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“), ერეკლე არსენაშვილი (1998, 200, „დიომიდის არგოსი“, საბერძნეთი), უჩა მაისურაძე (1986, 190, უგუნდო), **მთავარი მწვრთნელი** ჯორჯე რაშიჩი (სერბეთი, 1958), **მწვრთნელი** გიორგი გვაზავა (1978), **ექიმი** ჯუმბერ ყარყარაშვილი, **მთავარი მენეჯერი** ვახტანგ მეიფარიანი.

61 წლის ჯორჯე რაშიჩი შაბაცელია (სერბეთი). „მეტალოპლასტიკასთან“ ერთად ჩემპიონთა თასის ორგზის გამარჯვებული, იუგოსლავიის შვიდგზის ჩემპიონი და ოთხგზის თასის მფლობელია. იუგოსლავიის ნაკრების ღირსებას 35 მატჩში იცავდა. იყო ესპანეთისა და საფრანგეთის საკლუბო გუნდების წევრი. 1991 წლიდან მწვრთნელობას ეწევა. ჯერ სერბეთში მშობლიურ გუნდ „მეტალოპლასტიკას“ ავარჯიშებდა. სხვადასხვა დროს სათავეში ედგა ესპანეთის, სერბეთის, მონტენეგროს, სლოვაკეთის ქალთა გუნდებს, იუგოსლავიის ქალთა ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს, 2010 წელს ლიბანის „ალ სადმა“ ქვეყნის ჩემპიონობა და თასი, ასევე, აზიის ჩემპიონთა ლიგა მოიგო. 2013-2014 წლებში წვრთნიდა საქართველოს ნაკრებს.

– ექვსი წლის წინათაც ურიგო გუნდი არ გვყავდა, მაგრამ მაშინ შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდული იყო, – განაცხადა მალტაში გამგზავრების წინ ჯორჯე რაშიჩმა. – მას შემდეგ ქართველმა ხელბურთელებმა სათანადო გამოცდილება შეიძინეს. დღევანდელი ნაკრები ვეტერანი და ახალგაზრდა მოთამაშეებით კარგად დაბალანსებული კოლექტივია. ერთადერთი მოთამაშე, ვინც პირველად ვნახე, გიორგი ცხოვრებაძეა. იგი ძალიან ძლიერი ინდივიდუალისტია, მაგრამ გუნდურ თამაშში მოსამატებელი აქვს. დანარჩენ 17 ხელბურთელთან, რომლებსაც ახლა ვავარჯიშებ, ყველასთან მიმუშავია. რაც შეეხებათ მეტოქეებს, მალტასა და აზერბაიჯანთან არ უნდა გაგვიჭირდეს. კვიპროსის თამაში ნანახი მაქვს და გეტყვით, რომ ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა 13 იანვარს სწორედ კვიპროსელებთან მატჩში გაირკვევა. თუმცა როგორც გუნდური თამაშით, ასევე, ინდივიდუალური ოსტატობით, საქართველოს ნაკრები ფავორიტია...

ლექსო ცინცაძე

მოხუცს ალუმინის ქვაბები მოპარეს

რამდენიმე დღის წინ ოზურგეთში, შემოქმედელის ქუჩაზე ქურდობა მოხდა. გვიან ღამით, ერთ-ერთი სახლიდან, სადაც მარტოხელა ქალი ცხოვრობს, ალუმინის ქვაბები მოიპარეს.

როგორც დაზარალებული ქალი აცხადებს, სახლში სავარაუდოდ ისეთი ადამიანი შევიდა, ვინც კარგად იცოდა, სად ინახებოდა ჭურჭელი, რომელსაც სხვადასხვა პუნქტებში უპრობლემოდ იბარებენ.

„გურიაში 90-იანი წლები დაბრუნდა, ხალხში ფული არ არის, ამიტომაც დაიწყეს სახლებიდან ისეთ ნივთების მოპარვა, რომლის ჩაბარებაც გაცილებით უმარტივდებათ.“ – განაცხადა დაზარალებულმა ქალმა.

კურიოზი ოზურგეთში

ოზურგეთში, ი. შემოქმედელის ერთ-ერთ ჩიხში ახალგაზრდა მამაკაცი პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც 112-ში მისი ზარი შევიდა და შველას ითხოვდა.

ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაციით, დაახლოებით 30 წლამდე მამაკაცმა, რომელიც ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა, სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახა.

გამოძახების მიზეზად კი, ცოლის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა დაასახელა – „ჩემი ცოლი გაგიჟდა, დახმარება მჭირდება“.

მალევე ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა და პოლიცია ერთად მივიდა. ახალგაზრდა ქალბატონი, რომლის თაობაზეც ქმარმა 112-ში დარეკა, მათ სრულიად ჯანმრთელი დახვდათ, მთვრალმა მამაკაცმა პოლიციელების დანახვაზე გაღიზიანება ვერ დამალა და ერთ-ერთ სამართალდამცველს ფიზიკურად გაუსწორდა.

ცრუ შეტყობინებისა და პოლიციის ცემისთვის მამაკაცი დააკავეს. მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

ტრაგედია ჭავჭავაძის პროსპექტზე

გუშინ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა 1 და დაშავდა 12 ადამიანი.

არსებული ინფორმაციით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა ტროტუარზე მდგომ მუშებს შეეჯახა, როდესაც ისინი მშენებლობასთან მდგარ ფარდულში შედიოდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიება სსკ-ის 276-ე მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მწუხარებას გამოთქვამს ჭავჭავაძის გამზირზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის გამო და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

აღნიშნული შემთხვევის მომენტში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტომანქანაში იმყოფებოდა პაციენტიც, რომელიც არ დაშავებულა და გადაყვანილია დანიშნულების ადგილზე.

სანთელი

ერუდირებული პროფესიონალი

გენერალ გივი ლომინაძის ხსოვნას

საქართველოს საზოგადოებამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა უდიდესი დანაკლისი განიცადა, მოულოდნელად გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე გივი ლომინაძე.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში მრავალ ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შორის მან სამართლიანად და დამსახურებულად დაიმკვიდრა ერუდირებული და პროფესიონალი იურისტის საპატიო სახელი.

წლების განმავლობაში იმყოფებოდა რა პარტიულ, სახელმწიფო და შინაგან საქმეთა ორგანოების მაღალ თანამდებობებზე, გივი ლომინაძემ გამოავლინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, პასუხისმგებლობა და ახალგაზრდა პროფესიული კადრების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში დაუშრეტელი ენერგია. იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და შინაგან საქმეთა მინისტრი, სამჯერ იყო არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად. იყო პოლიციის გენერალ-მაიორი. დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის, ღირსების ორდენებითა და სხვა ჯილდოებით. სადაც კი იმუშავა ამ უკეთილშობილესმა პიროვნებამ, თავისი ერთგული და ენერგიული საქმიანობით ნათელი კვალი დატოვა საზოგადოების თვალში.

გივი ლომინაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, კახა თარგამაძე, კობა ნარჩემაშვილი, ჯემალ გახოკიძე, ვახტანგ გვარამია, თემურ მურღულია, ზურაბ ჩხაიძე, თენგიზ შუბლაძე, თეიმურაზ ლორია, შოთა ასათიანი, ჯუმბერ სურმავა, გურამ ახალაია, გივი ნაცვლიშვილი, ალეკო მიქაბერიძე, ტიტე ლეფსაია, გრიშა შონია, ილია შონია, ელგუჯა ჯამბურია, ლევან კენჭაძე, ნუგზარ ღამბაშიძე, თორნიკე აფაქიძე, ვასილ დავითაია, შენგელი ფიცხელაური, გივი ინჯია.

თენგიზ კალანდაძე, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, დემურ გადელია, ვალერი ჭანტურია, ელიზბარ ლომინაძე, თემურ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე, ჯამბულ წულაია, ტარიელ დგებუაძე, ბესიკ კილასონია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი კოლეგა და მეგობარი, დიდბუნებოვანი ადამიანი

გივი ლომინაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა 1992-1995, 1995-1999 და 1999-2004 წ.წ. მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი

გივი ლომინაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

პალატის თავმჯდომარე კობა ამირხანაშვილი

ვახტანგ ყოლბაია ოჯახით გულისტკივილით იუწყება სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, უკეთილშობილესი პიროვნების

გივი ლომინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მწუხერაბაში მყოფ ოჯახის წევრებს.

ინციდენტი თელეთში

შინაგან საქმეთა სამინისტრო თელეთში შვილის მიერ დედის დაჭრასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 8 იანვარს, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, დანის გამოყენებით დაზიანება მიაყენა დედას – 1953 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს. დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1982 წელს დაბადებული ვ.ბ. დააკავეს.

ძალიან მიყვარს პრესა
და ამიტომ ვარ ამ სტრუქტურაში

თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე, მდებარე „პალიტრის“ ჯიხურთან მუდამ ხალხმრავლობაა. გარდა იმისა, რომ შეგიძლიათ შეიძინოთ მრავალი დასახელების ჟურნალ-გაზეთი, აქ მოსვლისკენ ისიც გიბიძგებს, რომ თბილი ღიმილით გხვდებათ ბატონი დავით ჩარგაზია, ერუდირებული, მოკრძალებული პიროვნება, საინტერესოდ გირჩევთ შესაძენ გაზეთებს. მასთან საუბარში გაირკვა, რომ მოთხოვნადი გაზეთებიდან გამოირჩევა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „ახალი თაობა“... ეს ჯიხური ერთგვარი ლიტერატურული სალონის ფუნქციასაც ითავსებს. ცნობილი სახეები: ამირან მექვაბიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ანზორ გოგიჩაიშვილი, ვაჟა შენგელია, მიხეილ ცაგარელი და სხვები უკვე წლებია თითქმის ყოველდღე სტუმრობენ ამ ჯიხურს და ერთგული მკითხველები არიან და იძენენ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“. როგორც თავად ამბობს: **„თბილი სალმითა და მომღიმარი სახეებით დილიდანვე მიქმნიან მხიარულ განწყობილებას, ძალიან მიყვარს პრესა და სწორედ ამიტომ ვმუშაობ ამ სტრუქტურაში“.**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან დღეს მინდა მთელ საქართველოს მივულოცო შობა-ახალი წელი, გამთლიანების, სიკეთის, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსთვის...

მივესალმები ყველას, ვინც აქტიურად კითხულობს ყველაზე სანდო გაზეთს „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელიც ასახავს ყოველდღიურ მოვლენებს როგორც პოლიტიკასა და ეკონომიკაში, ისე კულტურასა და ხელოვნებაში, სპორტში, განათლებაში, სამხედრო საქმეში... გაზეთი საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდის აგრეთვე ქვეყნის რეგიონებიდან. მე განსაკუთრებით მომწონს კრიტიკული პუბლიცისტური წერილები... ერთი სიტყვით, „საქართველოს რესპუბლიკა“ ის გაზეთია, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს...“

ნანა ჭიჭინაძე

„ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებიან-მეთქი!“

რქაწითელი შესაძლოა, საუკეთესო ღვინო გახდეს მარსზე!

რქაწითელი შესაძლოა, გახდეს პირველი ღვინო, რომლის დალევაც მარსზე იქნება შესაძლებელი. აღნიშნულის შესახებ ნათქვამია Washington Post-ის სტატიაში სახელწოდებით „თეთრი ღვინო წითელ პლანეტაზე“. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ქართველი მკვლევარები აქტიურად არიან ჩართული პროექტში, რომლის მიზანიც იმის დადგენაა, თუ რომელი ყურძნის მოშენება იქნება შესაძლებელი წითელ პლანეტაზე.

„მკვლევარებმა უნდა დაადგინონ, რომელი ყურძნის ჯიში გაუძლებს რადიაციას, მტვრის ქარიშხალს და მარსზე არსებული გარემოს სხვა გამოწვევებს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ვინ არ ისურვებდა მარსული ღვინით სავსე ჭიქას, როდესაც ახალ პლანეტაზე ახალ წელს შევხვდებით?“ — ნათქვამია პუბლიკაციაში.

Washington Post-ი წერს, რომ პროექტში ჩართული არიან როგორც მეწარმეები, ისე აკადემიური წრეების წარმომადგენლები. გამოცემის ცნობით, წელს პროექტის მონაწილეები აპირებენ, თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში პირველი ე.წ. ვერტიკალური ბაღი გახსნან.

„ვერტიკალური მებაღეობა ადამიანის მინიმალურ ჩართულობას მოითხოვს და მცენარეების მოსაყვანად მზის სინათლე არაა საჭირო. სწორედ ასეთ გარემოში მოყვანილმა მცენარეებმა შეიძლება, მომავალში გაიხარონ მარსის კოლონიაში“, — ნათქვამია სტატიაში. როგორც პუბლიკაციაშია აღნიშნული, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ წითელი პლანეტის კლიმატს არა შავი, არამედ თეთრი ფერის ყურძენი უფრო გაუძლებს. მარსზე მოშენების ერთ-ერთ კანდიდატად რქაწითელი განიხილება. მკვლევარების აზრით, რქაწითელის კანი მარსის მტვრის ქარიშხლებს ადვილად გაუძლებს.

„მარსზე მოსაშენებლად საუკეთესო ყურძნის ჯიშის დადგენას მკვლევარები 2022 წლისთვის გეგმავენ“, — ვკითხულობთ Washington post-ის სტატიაში.

1TV.GE

პატრიარქ ფილარეტს უკრაინის ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პატრიარქ ფილარეტს უკრაინის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. პოროშენკოს თქმით, პატრიარქ ფილარეტს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისთვის.

„ის იყო და რჩება უკრაინული ეკლესიისა და უკრაინელი ხალხის სულიერ ლიდერად. სწორედ ამიტომ გადაწყდა, მიიღოს მან უკრაინის ეროვნული გმირის წოდება“, — განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

პატრიარქი ფილარეტი (დენისენკო) უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ბუნებრივია, მოსკოვის საპატრიარქო მშვიდად არ შეხვედრია ფილარეტის მოქმედებებს და ყველა ღონეს ხმარობდა უკრაინაში თავისი გავლენების გასაძლიერებლად, ფილარეტისა და მისი მომხრეების დისკრედიტაციისთვის.

1995 წლიდან კიევის მიტროპოლიტი ფილარეტი საეკლესიო კრებამ უკრაინის მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის — კიევის საპატრიარქოს მწყემსმთავრად აირჩია.

1997 წელს კიევის პატრიარქი ფილარეტი მოსკოვის საპატრიარქომ ანათემას გადასცა. 2018 წლის ოქტომბერში მსოფლიო საპატრიარქომ მოუხსნა პატრიარქ ფილარეტს ანათემა და ეკლესიის სამწყსოში დააბრუნა.

2018 წლის ოქტომბერში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა პატრიარქ ფილარეტის ახალი ტიტული დაადგინა — უწმიდესი და უნეტარესი ფილარეტი, მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი კიევისა — რუსის ქალაქთა დედისა, გალიციელი, პატრიარქი სრულიად რუს-უკრაინისა, წმიდა არქიმანდრიტი კიევ-პეჩორისა და პოჩაევის მიძინების ლავრათა.

თბილისი სი-ენ-ენის საუკეთესო ფოტოებს შორის



CNN-მა 2018 წელს მოგზაურობისას გადაღებული საუკეთესო ფოტოები გამოაქვეყნა. ფოტოები მთელი მსოფლიოს მასშტაბითაა გადაღებული. საუკეთესო ფოტოების ალბომშია თბილისში, რიყის პარკში გადაღებული ფოტო, სადაც ავლაბრის ნაწილი ჩანს, პრეზიდენტის რეზიდენციითა და სამების საკათედრო ტაძრით.

საუკეთესო ფოტოების ალბომი მთლიანობაში 133 ფოტოს აერთიანებს. ალბომში თბილისში გადაღებული სურათი, რიგით 83-ე კადრადაა ჩასმული.

ისლამის უარყოფისთვის სიკვდილი მიუსაჯეს...

18 წლის საუდელ გოგონას რაჰაფ მუჰამედ ალ-ქუნუნს, **რომელმაც ისლამი უარყო და თავშესაფრის მისაღებად ავსტრალიაში აპირებდა გამგზავრებას, ამ დროისთვის ტაილანდის ხელისუფლება იცავს.**

რაჰაფ მუჰამედ ალ-ქუნუნმა ისლამი უარყო და სასჯელის (სიკვდილით დასჯა) თავიდან ასარიდებლად ოჯახს გამოექცა. ის ბანგკოკიდან ავსტრალიაში ჩასვლას გეგმავდა, მაგრამ ბანგკოკის აეროპორტში დააკავეს. მას ქუვეითში დეპორტაცია ემუქრებოდა, სადაც მისი ოჯახი ამჟამად იმყოფება.

რაჰაფი აეროპორტის სატრანზიტო ზონაში, სასტუმროს ოთახში ჩაიკეტა და აცხადებდა, რომ იქიდან არ გამოვიდოდა, რადგან დეპორტაციის შემთხვევაში, მას სიკვდილით დასჯიდნენ. გოგონა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან შეხვედრას ითხოვდა.

საბოლოოდ ტაილანდის ხელისუფლებამ გადაწყვიტა გოგონა არ დაადეპორტოს. მან აეროპორტი დატოვა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მზრუნველობის ქვეშაა. ამის შესახებ გოგონამ ტვიტერზე დაწერა. მისივე თქმით, როგორც შეატყობინეს, ბანგკოკში მამამისიც ჩავიდა. ავსტრალიის მთავრობაში ამბობენ, რომ გოგონას საკითხს ყურადღებით შეისწავლიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6702; ევრო - 3.0563;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4072
100 რუბლი - 3.9241; თურქული ლირა - 0.4845;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5748;
1000 სომხური დრამი - 5.5056.

ამინდი 10 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -8,	დღე +3
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +11
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +6
თბილისი:	ღამე +1,	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge